7359

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 16 სექტემბერი 1941 წ. № 219 (6224) ფასი 15 კაპ.

ჩინებულად მოვამზადოთ წითელი არმიის შევსება

მთელი მსოფლიოს წინაშე ჩაიფუშა გერმანიის სარდლობის მკვეხარული გეგმები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ელვისებური“ ომის შესახებ. მტერმა ვერ შესძლო და ვერც ვერასოდეს შესძლებს წამოაჩოქოს, დაიმორჩილოს თავისუფალი საბჭოთა ხალხი! დიადი სამამულო ომი ჩაღდება. მისი ალი ფერფლად აქცევს ფაშისტთა ურდოებს. წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი განაგრძობენ ჩვენს სამშობლოში ღრმად შემოჭრილი ფაშისტური ურდოებისათვის ლახვრის ჩაცემას.

ასიათასობით გერმანელი ჯარისკაცის გვამებით მოფენილია საბჭოთა უკრაინის ოქროსფერი მინდვრები, საბჭოთა ბელორუსიის მდელოები და ტყეები და საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთი ოლქების სივრცეები. ომი ხანგრძლივი, გაჭიანურებული ბრძოლის ხასიათს იღებს — იგი იქცევა ომად მტრის მატერიალურ საშუალებათა გამოლევისათვის, მისი ცოცხალი ძალის გაჟლეტისა და ქანცის გაწყვეტისათვის. ამ ომში გერმანიის მატერიალური რესურსები ილევა, მისი ადამიანთა რეზერვები იშრიტება. ამავე დროს ჩვენი ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებში შედიან სულ ახალ-ახალი საბრძოლო რეზერვები.

მაგრამ განუსჯელობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ფაშისტ კაციჭამიებს ...

... ძალებით გამანადგურებელი და პარტიზანული რაზმები. ყველა, ვისაც იარაღის ტარებისა და მტერთან ბრძოლის უნარი შესწევს, ცდილობს სამხედრო საქმეს დაეუფლოს.

ზურგში ყალიბდება წითელი არმიის სათადარიგო ნაწილები, რომელნიც ბრძოლისუნარიან შევსებას აწვდიან ფრონტს. უზარმაზარია ამ ნაწილთა როლი ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომს ამაღლებაში. მუშურ-გლეხური წითელი არმიის სათადარიგო ნაწილები მოწოდებული არიან უმოკლეს ვადაში შეასწავლონ სამხედრო საქმე მობილიზებულთ, საბჭოთა სამხედრო დისციპლინის სულისკვეთებით აღზარდონ ისინი, აღჭურვონ ისინი ბრძოლის უნარით და ყოველგვარი თვისებით, რომლებიც ბრძოლისუნარიანად აქცევენ ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების ყოველ ნაწილს, ყოველ მებრძოლს.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მძარცველთა წინააღმდეგ წარმოებული სამამულო ომი მოითხოვს საქმის ცოდნას, გამძლეობას და ფიზიკურ გამოწრთობას. იგი ავალებს მებრძოლებს ოსტატურად დაეუფლონ რთულ საბრძოლო ტექნიკას, ახალი სახის საშუალებს და შეიარაღებულო ბრძოლის ახალ ტაქტიკურ ხერხებს. სწორედ მუშურ-გლეხური წითელი არმიის სათადარიგო ნაწილები არიან მოწოდებულნი ამისათვის მოამზადონ მებრძოლები.

ადამიანები, რომლებსაც გაუვლიათ ნამდვილი სამხედრო სამსახური, გარკვეული სამხედრო სპეციალობა მიუღიათ წითელ არმიაში. ეს აადვილებს მათს მომზადებას. საჭიროა გავახსენოთ მათ სამხედრო სწავლების ...

...

... ძალა. სწორედ ამიტომ იქნა ამოძრავებული მძლავრი საბჭოთა კავშირის ყველა სამხედრო და ეკონომიური ბერკეტი.

„ჩვენი ძალები აურაცხელია, — ამბობდა ამხანაგი სტალინი. — თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში. თავდამსხმელ მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოდიან მრავალ ათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. აღსდგებიან ჩვენი ხალხის მრავალმილიონიანი მასები“.

ამხანაგ სტალინის მოწოდება ღრმად ჩასწვდა საბჭოთა ხალხის ფენებს. იზრდება სახალხო ლაშქარი. იზრდებიან წითელი არმიის საბრძოლო რეზერვის რიგები. განუწყვეტლივ ივსებიან ახალი ...

... საბრძოლო გამოცდილებით.

წითელარმიელები, კომისრები და პოლიტმუშაკები მზად უნდა იყვნენ საბრძოლო მოქმედებისათვის ყველაზე რთულ და ძნელ პირობებში — ავიაციის, ტანკების, არტილერიის, ნაღმმტყორცნთა და ავტომატთა ძლიერი ზემოქმედების პირობებში, ზურგიდან და ფლანგებიდან გარშემოვლისა და ალყის პირობებში. ისინი იმდენად გამოწრთობილი და მომზადებული უნდა იყვნენ, რომ არავითარ პირობებში არ მიეცნენ პანიკას, არ დაჰკარგონ ბრძოლის უნარი, ისწავლონ მტრის ტანკებთან, თვითმფრინავებთან, არტილერიასთან, ნაღმმტყორცნებთან და ავტომატებთან ბრძოლა.

სათადარიგო ნაწილებში შედიან ...

... ხელი, ... ყველა საბჭოთა ადამიანის სიძულვილით და ზიზღით არიან გარემოცულნი ჰიტლერელთა ურდოები.

საბჭოთა ზურგი მტკიცე და ფრონტთან გაერთიანებულია. იგი ფრონტს აწვდის ყველაფერს, რაც საჭიროა ფაშიზმის სრული განადგურებისათვის. იგი ფრონტს აძლევს თანამედროვე სამხედრო ტექნიკას—თვითმფრინავებს, ტანკებს, არტილერიას, ავტომატურ იარაღს. იგი ფრონტს აძლევს სამშობლოს საუკეთესო შვილებს, რომელნიც აღვზნებული არიან ფაშისტ ბარბაროსებისადმი სიძულვილით, მზად არიან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლონ მტრის წინააღმდეგ.

„პრავდის“ მოწინავე, 14/IX.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 სექტემბრის დილის ცნობა

13 სექტემბერს, ღამით ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ მტერთან მთელ ფრონტზე.

* * *

პოლკოვნიკ ბახაროვის სატანკო ნაწილი წარმატებით ებრძვის გერმანელებს და დიდ ზარალს აყენებს მტერს. სოფელ ზარე- ...

... ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპო მრავალი ფაშისტი. მფრინავ ბარაბანოვთან ერთად ამხ. კოჟინმა დაანგრია ფაშისტთა გადასასვლელი. როგორც ჩვენმა დაზვერვამ გამოარკვია, გერმანელებმა გადასასვლელზე 18 საზენიტო ქვემეხი და დაახლოებით ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი დაჰკა- ...

... ნას მოხვდა. საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ავიაციის თავდასხმასთან დაკავშირებით, გერმანელი მოსახლეობა სასოწარკვეთილებას განიცდის. ყველას პირზე აკერია ერთი კითხვა—როდის მოეღება ბოლო ამ წყეულ ომს?“.

* * *

... ში. ფინელი ჯარისკაცები ცდილობენ ტყის გაწმენდას, მაგრამ ამ დაუსრულებელ უდაბურ ტყეში ეს შეუძლებელია...“

* * *

ამ უკანასკნელ დღეებში დანიის მთელ რიგ ნავსადგურებში საბოტაჟის დიდი აქტები მოხდა, რომლებმაც სერიოზული ზარალი მი- ...

...

... გდებულია გერმანიის 21 მფრინავი და აეროდრომ... მოსპობილია გერმანიის 46 ... მფრინავი, სულ კი მოსპო... მტრის 67 თვითმფრინავი. 28 თვითმფრინავი დავკარგ...

14 სექტემბერს დილით ... კოვთან ჩამოგდებულია გ... ნიის ერთი მზვერავი ... მფრინავი.

* * *

ფრონტის ჩრდილო-დასა... თის მიმართულებით გერ... ფაშისტთა ურდოების წი... მდეგ წარმატებით მოქმე... პოლკოვნიკ შტიკოვის შენა... მებრძოლები და მეთაუ... მტერთან ბრძოლებში განსა... რებით წარმატებით მოქმ... დნენ ამხ. კოჟუროვის, დო... სკის, ალექსი ბენისა და სხ... ქვედანაყოფები. კაპიტან ... როვის ქვედანაყოფმა ... ბრძოლაში ხელთ იგდო ... ნელთა 12 ქვემეხი, 20 ... და ხელის ტყვიამფრქვევ... ორი რადიოსადგური. ამხ. ... ნოვსკის ქვედანაყოფის არტ...

...

ფაშისტური ავიაციის მრავალრიცხოვან ცდებს — შეჭრილიყო ლენინგრადისაკენ მუდამ იგერიებენ მამაცი საბჭოთა მფრინავები. ამ დღეებში ლენინგრადის მისადგომებზე მოხდა საჰაერო ბრძოლა, რომელშიც ასზე მეტი თვითმფრინავი მონაწილეობდა. ფაშისტებმა ამ ბრძოლაში 17 ყუმბარმშენი დაკარგეს და განდევნილ იქნენ.

* * *

„გლავვოენტორგის“ ფარდულებისა და ავტოწერტების მუშაკები წარმატებით ამარაგებენ წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს სხვადასხვა საქონლითა და პროდუქტებით ფრონტის მოწინავე პოზიციებზე საბრძოლო ვითარებაში. ავტოწერტის გამგე ამხ. კრომსკი არტილერიის ცეცხლქვეშ ...

... ვერ ვნედავთ ... ტყეს გამოდა. ბევრ ჩვენს ჯარისკაცს თავის სისხლად და სიცოცხლედ დაუჯდა ეს ბრძოლები. მიკვირს, რომ ჯერ ცოცხალი ვართ. საშინლად მინდა დასვენება. რუსეთო, რუსეთო, ნეტავ არასოდეს არ მენახე!“

ნაცადი ფაშისტი უნტერ-ოფიცერი ჰენრიხ მილერი ომის დასაწყისიდან აწარმოებდა დღიურს. მოგვყავს ამონაწერები ამ დღიურიდან:

„22 აგვისტო. დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი პირანესკი — ტყვიით დაიჭრა გულში. საღამოს დაიღუპა კიდევ ლეიტენანტი შილერი მე-4 ასეულიდან. ამრიგად, ჩვენ მოკლე ხანში დავკარგეთ 7 ოფიცერი — 5 მოჰკლეს და 2 დასჭრეს. მოკლულთა შორის სამია ასეულის მეთაური.

25 აგვისტო. დილიდანვე გამოჩნდნენ რუსების ყუმბარმშენები. ბატალიონის მეთაური მძიმედ ...

... ლები. სტარაია რუსას დასავლეთით სოფლები იურიევო და ბერეზნიკი რომ დაიკავეს, გერმანელებმა ჩამოართვეს მოსახლეობას და დაჰკლეს მთელი პირუტყვი და მთელი შინაური ფრინველი. ნაძარცვი პროდუქტები გერმანელებმა ურმებზე დაჰყარეს, შიგ შეაბეს კოლმეურნეები, მათ შორის მოხუცი ქალები და კაცები, და აიძულეს წაეღოთ მეზობელ სოფელში. სოფელ მონინოში გლეხ ნიკოლოზ კურგაევს შეუვარდა გალეშილი გერმანელი ჯარისკაცი და გაუპატიურება დაუპირა დიასახლისს. ქმარი გამოესარჩლა ცოლს და იქვე მოკლულ იქნა.

სოფელ მილუტინოში გერმანელებმა დააპატიმრეს 24 კოლმეურნე და წაიყვანეს ისინი მე- ...

...

... ზე მეტი გერმანელი ... და ოფიცერი, ... ტანკი, რამდენიმე ... ანქანა, ასზე მეტი ... -მდე მოტოციკლი.

* * *

... ბურცალოს ქვედა... ... ლიც ნაღმმტყორ- ...

„ვოენტორგის“ შოფერ მარიამ პავლოვას მოწინავე პოზიციებზე მიჰქონდა საქონელი. მანქანას თავს დაესხა ფაშისტური თვითმფრინავი. გერმანული ყუმბარის ნამსხვრევით დაზიანებულ იქნა მოტორი. ამხ. პავლოვამ მანქანა არ მიატოვა. მან დაიცადა დაღამებამდე, მოხსნა მეორე გატეხილ ...

... რი მოჰკლეს.

* * *

ჰიტლერის ჯარისკაცები სძარცვავენ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობას, მხეცურად აწამებენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. გერმანელების მიერ გაგზავნილმა დამსჯელმა ექ- ...

... ნა და ჰკითხეს, სად გარეკეს კოლმეურნეობის პირუტყვი. ნორჩმა პატრიოტმა პასუხის მიცემაზე უარი განაცხადა. ფაშისტმა არამზადებმა გააუპატიურეს გოგონა და შემდეგ ტყვიით მოჰკლეს.

14 სექტემბრის საღამოს ცნობა

...

შაჰისა და ირანის მთავრობის ორჭოფული პოლიტიკა კონფლიქტის ლიკვიდაციის პირობების შესახებ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში

თეირანი. როგორც წინათ უკვე ვიუწყებოდით, ირანის მთავ- ...

... შორის ფრიად მაღალი თანამდებობის პირებიც არიან. მაგალითად, 10 სექტემბერს გაზეთ ...

მოსკოვში სამი სახელმწიფოს თათბირის ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის გამომგზავრება

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია სამი სახელმწი- ...

... მიტეტის წარმომადგენელი, პროფესორი ბრაუნი — სამხედრო მრეწველობის ხელმძღვანელობის კომიტეტის წარმომადგენელი, სამსახურიდან გადამდგარი ადმირალი სტენლი, გენერალ-მაიორი ბრედი. დელეგაციას თან ახლავს ექსპერტთა ჯგუფი.

* * *

ნიუ-იორკი. ასოშიეიტიდ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თავმჯდომარე სამი სახელმწიფოს იმ თათბირზე, რომელიც მოსკოვში უნდა შესდგეს,—ჰარიმანი და დელეგაციის დანარჩენი წევრები ლონდონში ჩავიდნენ.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ბულგარეთის ხელისუფლებამ მოსახლეობას დაუმალა საბჭოთა მთავრობის ნარდგინება

სოფია. მიუხედავად იმისა, რომ ...

...

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

... გაანადგურეს გერმანელთა ... კოლონა და ხელთ იგდეს ... ავტომანქანა. მზვერავი ... ნანტი ალექსი ბენი ღრმა... რა თავისი ჯავშნიანი ავტ... ნით მტრის ზურგში, მოსპ... მანელთა რამდენიმე ჯ... ავტომობილი, გაანადგურ... მსუბუქი ტანკი და რა... ტანკსაწინააღმდეგო ქვემე...

ფაშისტთა ჯარებთან ... რიცხოვანი ბრძოლების ... პოლკოვნიკ შტიკოვის შე... მოსპო 10 ათასზე მეტი ... ლი ჯარისკაცი და ო... მტრის 200-მდე ტანკი, რა... ასეული ავტომანქანა, ასზ... ქვემეხი და 500-მდე მოტ...

* * *

ლეიტენანტ ბურცალოს ... ნაყოფმა, რომელიც ნაღმ...

სამი ქალაქის რადიოგამოძახება

მიკროფონთან არიან ლენინგრადი-კიევი-მოსკოვი

... ის შესდგა ლენინგრადისა და მოსკოვის ... გამოძახება. ... ლაპარაკა ლენინ... დამცველთა სა... ბით საბჭოთა მო... თეს ლენინგრადის ... დეპუტატების საქა- ...

... გრადის ფრონტზე მებრძოლი ერთერთი ქვედანაყოფის მეომარმა ამხ. პოდუშკომ, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ბაბკინმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა კიევს. აქედან მთელს საბჭოთა მიწა-წყალზე გაისმოდა პარტიის კიევის ...

... ნიაკისა და სამედიცინო დის ნადეჟდა სტაჩკოს მისალმების მგზნებარე სიტყვები.

მოსკოვის სახელით ლენინგრადსა და კიევს უპასუხეს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პრონინმა, მფრინავმა ლეიტენანტმა ამხ. ...

გამოსულთა სიტყვები გამსჭვალული იყო სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით, საზიზღარი მტრისადმი მგზნებარე სიძულვილით და ურყევი რწმენით, რომ ფაშისტთა ურდოები განადგურებულ იქნებიან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 სექტემბრის დილის ცნობა

14 სექტემბერს ღამით ჩვენი ჯარები ბრძოლას აწარმოებდნენ მტერთან მთელ ფრონტზე.

* * *

ფრონტის დასავლეთი მიმართულების ერთ-ერთ უბანზე გერმანიის სარდლობამ ძლიერ გაამაგრა ორი დასახლებული პუნქტის განაპირა უბნები. ჩვენი ჯარების წინაშე დასმულ იქნა ამოცანა განედევნათ ფაშისტები ამ პუნქტებიდან. ჩვენი ჯარის ნაწილების მიახლოებისას გერმანელებმა 75-მილიმეტრიანი ქვემეხები დაუშინეს მათ, შემდეგ კი კონტრიერიშზე გადმოვიდა მტრის ტანკების კოლონა, მოტოციკლისტების დიდი რაოდენობა და მოტოქვეითი ჯარი. ფაშისტთა ტანკებს მთელი ძლიერებით დაატეხეს თავს თავიანთი ბატარიების ცეცხლი უფროსმა ლეიტენანტმა კაპუსტინმა და კაპიტანმა სეკუნდინმა. საბჭოთა არტილერისტების მარჯვე სროლით დაზიანებულ იქნა მტრის 8 ტანკი. ქვეითს ჯარს, რომელიც ტანკებს მოჰყვებოდა, დიდი ზარალი მოუვიდა, და იგი შეჩერდა. ამ დროს ფლანგებიდან მტერს სროლა აუტეხეს ლეიტენანტ კრუპინის სატყვიამფრქვევო ასეულმა და უფროს სერჟანტ ნიკოლაევის სანაღმმტყორცნო ბატარიამ. ბრძოლის ველზე 600-მდე გერმანელი ჯარისკაცის გვამი დარჩა.

გერმანელებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს ტანკების საშუალებით შეეჩერებინათ ჩვენი ჯარის ნაწილების შეტევა, მაგრამ ყველა ეს ცდა ამაო გამოდგა. მტრის მანქანებს ამსხვრევდნენ ზარბაზნებით, სპობდნენ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებითა და საწვავის ნარევით სავსე ბოთლებით. საბჭოთა არტილერიამ და ავიაციამ ფაშისტთა კონტრიერიშები მოიგერიეს და გერმანელთა სიმაგრეებს დასცხეს. ჩვენი ჯარის ნაწილების იერიშის შედეგად ფაშისტები განდევნილ იქნენ თავიანთი სიმაგრეებიდან.

11 და 12 სექტემბრის ბრძოლაში ჩვენი ჯარის ნაწილებმა გერმანელთა ორი პოლკი გაანადგურეს. ერთმა მათგანმა—ქვეითი ჯარის მე-456 პოლკმა—თავისი შემადგენლობის 80-მდე პროცენტი დაჰკარგა. გარდა ამისა, გერმანელებმა დაჰკარგეს 25 ტანკი, 28 ქვემეხი, 38 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმმტყორცნი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 100-ზე მეტი მოტოციკლი და 4 რადიოსადგური.

* * *

უფროს ლეიტენანტ ივაჩევის ავიაგამანადგურებელთა რგოლს თავს დაესხა 8 „მესერშმიტი". 3 საბჭოთა ავიაგამანადგურებელი გაბედულად ჩაება ფაშისტთა თვითმფრინავებთან ბრძოლაში. ამხ. ივაჩევმა ბრძოლის პირველ წუთებშივე ჩამოაგდო ერთი „მესერშმიტი". მალე ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა მტრის მეორე თვითმფრინავს. იგი ჩამოაგდო უფროსმა ლეიტენანტმა სელივერსტოვმა. რამდენიმე წუთის შემდეგ მესამე „მესერშმიტი" ქვასავით დაეცა მიწაზე. ეს იყო გერმანელთა მეთერთმეტე თვითმფრინავი, რომელიც სამამულო ომის განმავლობაში ჩამოაგდო უფროსმა ლეიტენანტმა ივაშევმა.

* * *

გაფთრებულ ბრძოლაში მტრის ტყვიამ დასჭრა ბატალიონის კომისარი ამხ. ჩიჟუხინი. უშიშარ კომისარს ბრძოლის ველი არ დაუტოვებია; იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, მუდამ ჩნდებოდა უაღრესად საშიშ უბნებზე. კომისარი ხელმეორედ დასჭრეს მძიმედ. ამხ. ჩიჟუხინის გვერდით მებრძოლმა წითელარმიელმა ამხ. ბიჩკოვმა კომისართან მიირბინა და ბრძოლის ველიდან გამოიყვანა იგი. ამხ. ბიჩკოვი დაჭრილ იქნა, მაგრამ თავისი კომისარი არ მიუტოვებია.

* * *

უფროს ლეიტენანტ ამხ. ჩისტიაკოვის ბატარიას ებრძანა ჩაეჩუმებინა თეთრფინელთა ორი ბატარია. ლეიტენანტი ამხ. ჩაპელსკი შეუმჩნევლად მიცოცდა ახლოს მტრის პოზიციებთან და იქიდან ზუსტად აწესრიგებდა სროლას. გამიზნვის შემდეგ ჩვენმა არტილერისტებმა სწრაფი სროლა ასტეხეს. მტრის ორივე ბატარია მოსპობილ იქნა.

* * *

ბელორუსიის ყველა იმ რაიონში, რომელიც კი ხელთ იგდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა, სულ უფროდაუფრო ჩაღდება პარტიზანული მოძრაობა. მარტო აგვისტოს მეორე ნახევრის განმავლობაში პარტიზანებმა ბელორუსიაში 1000-ზე მეტი გერმანელი მოჰკლეს. პოლესიეს ოლქში პარტიზანთა რაზმებმა ააფეთქეს და დასწვეს საომარი მასალის 20-ზე მეტი საწყობი, 46 ბენზინსაცავი, 115 ტრანსპორტი სურსათითურთ, ჯარის საჭურვლის 47 აღალი, 52 დასახლებულ პუნქტში პარტიზანებმა მთლიანად ამოხოცეს ფაშისტთა გარნიზონები. რამდენიმე დამსჯელი რაზმი, რომლებიც გერმანიის სარდლობამ პარტიზანული მოძრაობის ლიკვიდაციის მიზნით გაჰგზავნა, ძლიერ იქნა შეპერტყილი და ხელცარიელი დაბრუნდა.

წითელ არმიასთან ბრძოლაში ჰიტლერელთა უდიდესმა დანაკლისმა გერმანიის სარდლობა ბევრ შემთხვევაში აიძულა დასახლებული პუნქტებიდან მოეხსნა და ფრონტზე გაეგზავნა გარნიზონები. გერმანელი კომენდანტების ნაცვლად სოფლების სათავეში დაყენებულ იქნენ მამასახლისები, მამასახლისებად მათ გამოიყენეს ყოფილი კულაკები თეთრგვარდიელები და სისხლის სამართლის დამნაშავენი. როგორც კი წავიდნენ რაიონული ცენტრებიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან გერმანელთა გარნიზონები, პარტიზანები ფაშისტთა მიერ დაყენებული კაცების მოსპობას შეუდგნენ. მათი ნაწილი გაიქცა. ბევრნი კი პარტიზანებმა დახოცეს.

* * *

ქარხნებსა, ფაბრიკებსა და შახტებში ასეულათასობით საბჭოთა პატრიოტი ქალები სცვლიან ფრონტზე წასულ თავიანთ ქმრებს, ძმებსა და შვილებს. მაგნიტოგორსკში 1.000-ზე მეტმა ქალმა დაამთავრა მოკლევადიანი კურსები და მუშაობას შეუდგა მეტალურგიულ კომბინატში. გამწყობ საამქროს მუშა ქალი ამხ. ჟავორონკოვა ცვლაში უკვე 4 ნორმას იძლევა. მატულობს იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც ბურღვაზე და ნავთის მოპოვებაზე მუშაობენ ტრესტ „ბუგურუსლანნეფტში". ბურღვის ოსტატმა ამხ. ბუზულუცკიმ მბურღავ ქალთა ბრიგადა შეადგინა. ბრიგადამ წარმატებით გაბურღა № 437 ჭაბურღილი, რომლებიც უკვე იძლევა ნავთს. სტახანოვური ტემპებით იქნა გაბურღილი № 409 ჭაბურღილიც, რომელიც ვადაზე 6 დღით ადრე გადასცეს საექსპლუატაციოდ. 20 ყოფილი დიასახლისი—ნავთის მრეწველობის მუშაკთა ცოლები—ამთავრებს მოტორისტების კურსებს, 25 ქალი ცეცხლფარეშთა კურსებზე სწავლობს. არხანგელსკის ოლქში „სოლომბალსკის ქარხნის მერევოლვერე პავლა სათონოვამ ჩინებულად შეისწავლა თავისი ჩარხი და ახლა, როგორც წესი, ორ ნორმას ასრულებს. ყოფილი დიასახლისები ბადიანი, ვორობიოვა და სხვები ელექტროშედუღებაზე ნორმის 150-დან 230-მდე პროცენტს იძლევიან დღე-ღამეში.

წარმოების მუშა ქალთა შორის დღითიდღე ფართოვდება მოძრაობა უფრო რთული პროფესიების დასაუფლებლად. ყარაგანდის № 20 შახტის მაღაროელი მარიამ კარიმოვა სამამულო ომამდე მევაგონე იყო. ახლა იგი მყელავი მემანქანის თანაშემწე გახდა. № 19 შახტზე ქანის გამომრჩევლებმა ამხ. მაშევამ, ნიკიტინამ და კიზელევამ მოკლე ხნის განმავლობაში შეისწავლეს ელექტროშედუღების პროფესია. № 1 შახტის გამომგორებლები ამხ. რასპაევა და სადვაკასოვა ამწე მანქანების მემანქანეები გახდნენ.

15 სექტემბრის საღამოს ცნობა

15 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მედგარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

13 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს მოსპობილია გერმანიის 15 თვითმფრინავი. ჩვენ 10 თვითმფრინავი დავკარგეთ. ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა გალაცს, სულინსა და კონსტანცას.

13 სექტემბერს მტერმა სცადა ოპერაციის ჩატარება კუნძულ ეზელის სანაპიროზე დესანტის გადასასხმელად. ჩვენი ხომალდებისა და ავიაციის მოქმედებით და სანაპირო ბატარიების ცეცხლით გერმანელთა სადესანტო რაზმი განადგურებულ იქნა. ჩაძირულია მტრის 4 ტრანსპორტი და 1 საესკადრო ნაღმოსანი. დარჩენილი ორი ტრანსპორტი და გერმანელთა რამდენიმე ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანებულია.

* * *

13 და 14 სექტემბრის განმავლობაში გერმანია-რუმინეთის ჯარებმა კვლავ სცადეს განუწყვეტელი იერიშებით შემოჭრილიყვნენ ოდესისაკენ. ჩვენი ნაწილები—წითელარმიელები და მეზღვაურები—გაფთრებულ ბრძოლებში იგერიებდნენ რიცხვობრივად მეტი მტრის იერიშებს. ბრძოლებში გაფანტულ იქნა რუმინელთა მეოთხე ქვეითი პოლკი. ამასთან ამ პოლკის ერთი ბატალიონი მოსპობილია.

ჩვენი სახმელეთო ნაწილების მოქმედებას ხელს უწყობდა შავი ზღვის ფლოტის ხომალდების არტილერიის ცეცხლი.

* * *

საჰაერო დაზვერვამ ცნობა მოიტანა, რომ მტრის 8 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი, რომელსაც სამხედრო ხომალდი და 3 კატერი ახლდნენ, პეტსამოსაკენ მიემართებოდა. მტრის ხომალდის შესახვედრად გავიდა ორი საბჭოთა სატორპედო კატერი კაპიტან-ლეიტენანტ კუსენკოს მეთაურობით. ჩვენმა კატერებმა მოტორები მიაყრუეს და მცირე სისწრაფით შეუმჩნევლად ჩაუარეს გვერდი მტრის სანაპირო ბატარიებს. უბის შესასვლელთან ისინი ნაპირს მიუახლოვდნენ და ლოდინი დაუწყეს გერმანელთა გემებს. მალე ფაშისტთა კატერების სილუეტები გამოჩნდნენ. კატერები დაუბრკოლებლივ გაუშვეს უბეში. როდესაც სატრანსპორტო და სადარაჯო ხომალდები გამოჩნდნენ, საბჭოთა კატერები მათ 500-600 მეტრის დისტანციაზე მიუახლოვდნენ და ტორპედები სტყორცნეს. ტრანსპორტი და სადარაჯო ხომალდი ჩაიძირნენ.

* * *

სმოლენსკელი პარტიზანები ეხმარებიან წითელ არმიას ფაშისტთა ურდოების განადგურებაში. პარტიზანული რაზმების მებრძოლები სპობენ მტრის ჯარისკაცებს, ტანკებს, ავტომანქანებს, საომარი მასალებისა და სურსათის საწყობებს. რაზმი, რომელსაც მეთაურობს მასწავლებელი ამხ. ზ., ამასწინათ თავს დაესხა გერმანელთა აგუშაგოს სოფელ ტროიცკოეში. თავდასხმის წინადღეს მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ გერმანელებს ჩვეულებრივად ფარდულში ეძინათ. ღამით პარტიზანები უხმაუროდ მიცოცდნენ ფარდულთან. ერთმა პარტიზანმა პირდაპირი სროლით მოჰკლა გუშაგი. ორმა სხვა მებრძოლმა ხელყუმბარები სტყორცნა ფარდულის ნახევრადღია კარში. რაზმის მეთაურმა სახურავზე შეაგდო საწვავით სავსე რამდენიმე ბოთლი. ფარდულს ცეცხლი გაუჩნდა. გადარჩენილი ფაშისტები, პანიკით მოცულნი, ჰიშკრისაკენ გაიქცნენ, მაგრამ მათ გზა გადაუღობა ტყვიამფრქვევის ცეცხლმა. ფარდულში მყოფი ყველა გერმანელი მოსპობილ იქნა. მეორე დღეს რაზმი შეხვდა გერმანელ მზვერავებს. ფაშისტები ერთიორად მეტი იყვნენ, მაგრამ პარტიზანები ბრძოლას არ აერიდნენ. გაფთრებულ შეტაკებაში მოკლულ იქნა 8 გერმანელი, დანარჩენები გაიქცნენ.

* * *

სოფელ ნიკიტინკაში გერმანელმა ობერ-ლეიტენანტმა ადოლფ მიტელმა და ფაშისტ ჯარისკაცთა ჯგუფმა ტანჯვა-წამებით მოჰკლეს მოხუცი კოლმეურნე ივანე პეტრეს-ძე ვორონინი. მათ უნდოდათ წამებით დაეცდენინებინათ მისთვის ცნობა იმის შესახებ, თუ სად იმალებიან მისი შვილები, პარტიზანები — კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგი, ტრაქტორისტი პეტრე და აგრონომი ვლადიმერი. მოხუცმა გმირულად გადაიტანა მთელი ტანჯვა-წამება და ისე მოკვდა, რომ კრინტიც არ დაუძრავს. საღამოს პარტიზანთა რაზმის ბანაკში მივიდა სოფლიდან გაგზავნილი კაცი და უამბო ფაშისტ მტარვალთა ბოროტმოქმედებაზე. რაზმის მეთაურის ნებართვით ივანე პეტრეს-ძე ვორონინის შვილები თავის სოფელში წავიდნენ. გზაში მათ გასწყვიტეს ტელეფონის მავთულები, რომლებიც იმ სოფლიდან, სადაც გერმანელთა ასეული იდგა, გაბმული იყო პოლკის შტაბამდე. ხაზის გასასწორებლად გაგზავნილი ჯარისკაცი მოჰკლეს. ფაშისტებმა კიდევ ორი ჯარისკაცი და უნტერ-ოფიცერი გაგზავნეს, მაგრამ მათაც იგივე ბედი ეწიათ. მეორე დღეს ძმებმა ვორონინებმა დახოცეს სამი გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც მეზობელ კოლმეურნეობებში წართმეული ძროხების ჯოგს მიერეკებოდნენ. ღამით სოფლის სხვადასხვა უბანში ხანძარი გაჩნდა. იწვოდა საომარი მასალების საწყობები და ის შენობები, სადაც ნაძარცვი ფურაჟი ინახებოდა. ჯარისკაცები ხანძრის ჩასაქრობად გაეშურნენ. მამაცმა პარტიზანებმა პანიკით ისარგებლეს შეიჭრნენ ობერ-ლეიტენანტ ადოლფ მიტელის ბინაში და მოჰკლეს იგი. სახლის კარზე ძმებმა ვორონინებმა ცარცით წააწერეს: „მამისათვის, საბჭოთა ადამიანების ღირსების შელახვისათვის".

* * *

ჰიტლერელთა საშინელ მხეცობაზე მოგვითხრობს ქალაქ ლუგის მცხოვრები ალექსი პეტრეს-ძე ორეხოვი, რომელიც ფაშისტური ტყვეობიდან გამოიქცა. „როგორც კი ჰიტლერელი ბანდიტები ქალაქში შემოვიდნენ,—ამბობს ამხ. ორეხოვი,—მათ დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა. პირველსავე დღეს ქალაქის ყველა დარჩენილი მცხოვრები ქალაქის ბაღში შერეკეს. მრავალი ათეული ადამიანის თვალის წინ ჯარისკაცებმა დაიწყეს სახრჩობელის დადგმა. ოფიცერი, რომელიც მუშაობას ხელმძღვანელობდა, ცინიკურად განუმარტავდა დამსწრეთ, ამ ნაგებობის გამტარუნარიანობა ძალიან დიდიაო. პირველად ჩამოახრჩეს სატყეო პუნქტის უფროსი მიხეილ ორეხოვი. შემდეგ გერმანელებმა კიდევ რამდენიმე კაცი ჩამოახრჩეს. ფაშისტმა მტარვალებმა სასტიკად აკრძალეს ჩამოხრჩობილთა გვამების ჩამოხსნა. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქში მოვიდა გესტაპოს განყოფილების უფროსი. მან მოაწყო ჯურღმული, სადაც აწამებდა თავის მსხვერპლთ. პირველ საღამოსვე ფაშისტებმა ქუჩებში დაიჭირეს 8 ქალიშვილი და გააუპატიურეს ისინი. ულებლივ ყველა სახლში ძარცვა-გლეჯა სწარმოებდა. აშკარად სძარცვავდნენ ქუჩებშიც. დღისით პატრულის ჯარისკაცებმა ადგილობრივი მასწავლებელი ქალი გააჩერეს და საათი წაართვეს.

პსკოვის რაიონის სოფელ გუდკოვოში ფაშისტებმა ჩამოახრჩეს 12 კოლმეურნე „გერმანელებისადმი უპატივცემლობისათვის". სლავკოვსკის რაიონის სოფელ ვერხნი მოსტში დახვრიტეს ქალი — ექვსი შვილის დედა — იმისათვის, რომ მან თავის ბოსტანში კარტოფილი ამოთხარა და უნდოდა თავისი შვილებისათვის ეჭმია. ლენინგრადის ოლქის პლიუსკის რაიონის კოლმეურნეობა „ვტორაია პიატილეტკაში" ფაშისტ დამსჯელთა რაზმმა პარტიზანების გაცემა მოითხოვა. გლეხები სდუმდნენ. მაშინ ჯარისკაცებმა მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოიყვანეს და თვითეული მცხოვრები [illegible]

(მი[illegible] რად[illegible])

ჩვენ ჯოჯოხეთს დავაღწიეთ თავი

(ელნიას მცხოვრებთა ნაამბობი)

ჩვენ სინათლე არ გვინახავს

მე მოწმე ვიყავი, როგორ იქცეოდნენ ჰიტლერელი ჯარისკაცები და ოფიცრები სახლებსა და ბინებში, როგორ იტაცებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ისინი არაფერს სტოვებდნენ. მთვრალი ყაჩაღები ამსხვრევდნენ და ფეხით სთელავდნენ საოჯახო ჭურჭელს, სარკეებს, ავეჯს, ბავშვის სათამაშოებს. მე ყველაფერი წამართვეს, თეთრეული და ნახევარი კილოგრამი შაქარიც კი წამართვეს. შემდეგ ერთ-ერთი მთვრალი არამზადა, — იგი შიშველი იყო, ტრუსი ეცვა, თავზე ჩაჩქანი ეხურა და ხელში რევოლვერი ეჭირა, — კვლავ მოვიდა; მე აღარაფერი დამრჩენოდა, თოჯინას გარდა. იგი მივუგდე ფაშისტს და მივაძახე:

— წაიღე, თუ ბავშვი გყავს!

ბანდიტმა უწმაწური გინება დაიწყო და, როდესაც ვერაფერი იპოვა უკან გაბრუნდა.

გერმანელმა ოფიცრებმა დაარბიეს ერთ-ერთი სკოლა და შემდეგ საროსკიპო გახსნეს იქ. ღამღამობით აქ ქალების ყვირილი და სროლა ისმოდა. მე ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ გარბოდა ქალაქის ქუჩებში ერთი თმაგაწეწილი და სახეშეშლილი ქალიშვილი. მთვრალი ფაშისტი ავაზაკი რევოლვერით მისდევდა მას და უყვიროდა „ჰალტ!" საბრალო ქალი დაგლიჯეს.

გერმანელმა ოფიცერმა ქუჩაში დაიჭირა 12 წლის ობოლი გოგონა ტანია ივანენკო. ავაზაკმა გააუპატიურა გოგონა და მოჰკლა. სტახანოველი მუშის ცოლი ანა ქ. გერმანელმა ჯარისკაცმა გააუპატიურა მოლოგინებამდე რამდენიმე საათით ადრე. ფაშისტმა არამზადებმა დაარბიეს ორი საბავშვო ბაღი და საბავშვო სახლი; წაიღეს სურათები, საბავშვო ავეჯი, ყვავილები და წიგნები; ნაწილი დაამტვრიეს, ნაწილი თავიანთ ბანდიტურ ბუნაგებში წაიღეს.

საშინელებას, გაპარტახებასა და სიკვდილს სთესავდნენ თავიანთ გარშემო ეს ფაშისტური „ცივილიზაციის" მატარებელნი. ჩვენ ღრმა სარდაფებში ვიმალებოდით, რათა თავი დაგვეღწია მთვრალი, გამხეცებული მოძალადეებისათვის. მაგრამ იქაც მოდიოდნენ, დაეძებდნენ ახალ მსხვერპლს, უკანასკნელ ლუკმას გვართმევდნენ. შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავით, ღამით ფარულად დავეძებდით ნახევრად გაჩანაგებულ ბოსტანში კარტოფილს. სინათლეს ვერ ვხედავდით, მაგრამ გვწამდა ჩვენი წითელი არმიის, ჩვენი სამშობლოს ძალა.

ჩვენი რწმენა სავსებით გამართლდა!

მ. გოლუბევი,
დიასახლისი, მუშის ცოლი.
ქ. ელნია, 11 სექტემბერი.

მათ ჩემი ცოლი მოჰკლეს

მრავალი ათეული წელი კარგად და თანხმობით ვიცხოვრე ჩემს ცოლთან, ლიუბოვ მირონის-ასულთან. ელნია ჩვენი სამშობლო ქალაქი იყო. აქ ჩვენ, მოტინებს, ყველანი გვიცნობდნენ, პატივს გვცემდნენ. ივლისში გერმანელები მოვიდნენ. მე 99 წლისა ვარ. ჩვენ, მოხუცებს წასვლა არ შეგვეძლო. ლიუბოვ მირონის-ასული და მე მიწურში დავიმალეთ. ვიცოდით, რომ ფაშისტები დიდხანს ვერ დარჩებიან, რომ მათ განდევნიან ჩვენი მიწა-წყლიდან, დაამარცხებენ. დილ-დილობით, როდესაც ჩვენი სოროებიდან გამოვდიოდით და ქალაქში დარჩენილ მცხოვრებთაგან ვინმეს ვხვდებოდით, არა სასიამოვნო ამბებს ვიგებდით. გერმანელებმა 65 წლის სორონი დაიჭირეს და მოჰკლეს მხოლოდ იმისთვის, რომ იგი ებრაელი იყო.

ყოველ დილით ჩვენ აღმოსავლეთისაკენ ვიცქირებოდით. სულ უფროდაუფრო მკაფიოდ და გარკვევით მოისმოდა ჩვენი ქვემეხების გრგვინვა. ვგრძნობდით, გვესმოდა, რომ აქ, ელნიაში, გერმანელები დიდხანს ვეღარ იბოგინებენ. ისინი გაბოროტებულნი დაძრწოდნენ ქალაქში, მსხვერპლს დაეძებდნენ, სისხლი სწყუროდათ. ერთხელ ჩემი ცოლი მიწურიდან გამოვიდა. მან სთქვა:

— წავალ, მოვძებნი სადმე კარტოფილსო...

ამის შემდეგ ცოლი აღარ მინახავს. იგი აღარ დაბრუნებულა. საღამოთი მიწურში მოვიდნენ მეზობლები. მათ ვებრალებოდი მე, მოხუცი, იზიარებდნენ ჩემს მწუხარებას. ჩემს ცოლს ქუჩაში შეხვედრია გერმანელი ჯარისკაცი და ფული მოუთხოვია. მას გაუხსნია საფულე. ჯარისკაცს გამოუგლეჯია საფულე, ხოლო შემდეგ ტყვიით მოუკლავს ჩემი ცოლი.

ზ. მოტინი
ელნია, 11 სექტემბერი.

საშინელი უბედურება

გერმანელებმა ჩვენ, სოფელ იურიევოს მცხოვრებნი, შეგვკრიბეს და გვითხრეს:

— წავთრიეთ აქედან. ორი საათის შემდეგ აქ არც ერთი კაცი არ უნდა იყოს. ვინც დარჩება — დავხვრეტთ.

— ჩვენ მივატოვეთ მშობლიური ადგილები, სადაც ჩვენი მამა-პაპა ცხოვრობდა. უაღრესად საჭირო ნივთებიც კი არ დაგვანებეს. წასვლისას ვხედავდით, თუ როგორ ამტვრევდნენ ჯარისკაცები ჩვენი სახლის ფანჯრებსა და კარებს, როგორ აძრობდნენ იატაკიდან ფიცრებს, როგორ მიეზიდებოდნენ ყველაფერს ოფიცრების მიწურებისაკენ. ისინი მიწას სჩიჩქნიდნენ, ეძებდნენ ჩვენს მიერ დამალულ ტანისამოსს, თეთრეულს, საოჯახო ნივთებს. იურიევოდან და ახლო-მახლო სოფლებიდან ხალხი აქეთ-იქით მიდიოდა ყველა გზით.

მე, ჩემი ქმარი ვასილ ივანეს-ძე და ქალიშვილი ნადეჟდა ქალაქ ელნიაში გადავბარგდით. ჩვენ გულკეთილმა ადამიანებმა შეგვიკედლეს სახლში, სადაც წინათ „ზაგოტკოჟის" კანტორა იყო მოთავსებული. შიშით ქუჩაში ვერ გამოვდიოდით. ბნელ ღამეებში ბოსტნებისაკენ მივიპარებოდით და ბავშვებისა და მოხუცებისათვის ცოტაოდენ კარტოფილს ვჩიჩქნიდით. ყოველი ფაჩუნისა გვეშინოდა. სულ ახლოს მთვრალ ჯარისკაცთა ყვირილი გვესმოდა.

ერთხელ ღამით კარი დააკაკუნეს.

ჩვენ ცოცხალ-მკვდარნი ვისხედით და ხმა არ გაგვეღია.

დერეფანში სამი ჯარისკაცი შემოვიდა. ისინი თითქოს რაღაცას ეძებდნენ. პირველ ოთახში ყველა კუთხე გასინჯეს, კარადები გახჩხრიკეს, თავიანთ ენაზე რაღაცას ლაპარაკობდნენ. ჩემი ქმარი იმპერიალისტური ომის დროს გერმა- [illegible]

ჩემი ქალიშვილი ნადია დაინახეს — პატარა, ცამეტი წლისა. ორმა ჯარისკაცმა ხელი სტაცა ქმარს, აივანზე გაათრიეს და რევოლვერი დაუმიზნეს. მესამე იმ ოთახში დარჩა ნადიასთან. ჩემი ქმარი კი შეპყრობილი ჰყავთ: იქ არ უშვებენ. იგი საშინლად ჰყვიროდა:

— სად არის ნადეჟდა?

ვეუბნები, მასთან ჯარისკაცი დარჩა-მეთქი. თვითონ კი იმ კარს ვასკდები.

ქმარი მიძახის:

— იყვირე, იყვირე, რაც შეგიძლია!

მეც მოვრთე კივილი. ჯარისკაცი ოთახიდან გამოვარდა. ჩვენდა საბედნიეროდ ვერ მოასწრო ნადიას გაუპატიურება. ქმარმა იგი გულში ჩაიკრა, თვალთაგან ცრემლი სდიოდა. ასე გაატარა მთელი ღამე ქალიშვილის ახლოს. ერთი საათითაც არ მოშორებია. ნადია დამშვიდდა. დილას კი მეზობლებმა გვირჩიეს:

— მიდით მათს კომენდანტთან, შესჩივლეთ, იქნებ, გამოგესარჩლოთ, თორემ ღამით ისევ მოვლენო. ჩვენ ყველანი წავედით თევდორე პეტრეს-ძე მარკოვკინთან ერთად, — ის მოწმედ წამოგვყვა.

შტაბამდე მისვლა არ მოგვიხდა. მთავარ ოფიცერს ქუჩაში შევხვდით. მასთან იყო მთარგმნელი, გვარად როზალინსკი, მგონი, წინანდელი ბატონთაგანი, გერმანელებთან ერთად მოსული. ჩვენ იქ ოფიცერს ყველაფერი ვუამბეთ, შევჩივლეთ. ის კი პასუხად მხოლოდ იცინოდა, ხელს აქნევდა: გამეცალეთ, სანამ ცოცხალი ხართო. როზალინსკიმ ქმრის გვარი წიგნაკში ჩაიწერა.

და იმავე ღამეს ჩემი ქმარი წაიყვანეს. რა უყვეს მას, როგორ აწამეს, არ ვიცი.

შური ვიძიოთ [illegible] ათვის!

ა. ბალიშინა
([illegible] კოლმეურნეობა [illegible])
11 სექტემბერი.

ფაშისტი მტარვალების ვერაგული ოინები

ქვემოთ ვბეჭდავთ ორ დოკუმენტს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რა ვერაგულ და საზიზღარ ოინებს მიმართავენ გერმანელი ფაშისტი არამზადები, როგორ აგროვებენ ისინი თავიანთ აგენტებს მტრული პროვოკაციული ხმების გასავრცელებლად. ჰიტლერელები, სჩადიან რა საშინელ მხეცობას, ჩვენს ზურგში ჰგზავნიან თავიანთ აგენტებს — პროვოკატორებს, რომელთაც სპეციალურ დავალებას აძლევენ. — იცრუონ, ვითომც ფაშისტები კარგად ექცეოდნენ საბჭოთა ადამიანებს. მთელი საბჭოთა ხალხის გაათკეცებული სიფხიზლე, ულმობლობა ყოველგვარი მტრული ხმების გამავრცელებელთადმი — აი ის ზღუდე, რომელზედაც დაიმსხვრევა გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა საზიზღარი ზრახვები.

წერილი რედაქციისადმი

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

ძალიან გთხოვთ დაბეჭდოთ გაზეთში ჩემი წერილი გერმანელების ტყვეობაში ვიყავი და მსურს გიამბოთ, რაც იქ ვნახე.

მე სმოლენსკის რაიონის გლეხი ვარ და გერმანელებმა ტყვედ ჩამიგდეს ქალაქ სმოლენსკში. ტყვედ 4 დღეს ვიყავი. ჩამსვეს ერთი სახლის სარდაფში, სადაც იყო კიდევ სმოლენსკის 5 მცხოვრები. ყოველ დღე დაკითხვაზე გვეძახდნენ. სათითაოდ დაგვკითხავდნენ ხოლმე.

პირველი დაკითხვის დროს გერმანელმა ოფიცერმა მითხრა, გაგიშვებთ თუ დათანხმდები შეასრულო გერმანიის სარდლობის დავალება წითელი არმიის ზურგში. ოფიცერი ამას ყოველი დაკითხვის დროს მეუბნებოდა. მან წინადადება მომცა გადმოვსულიყავი ფრონტის ხაზზე და მეამბნა საბჭოთა მცხოვრებთათვის—მუშებისა და კოლმეურნეებისათვის, რომ გერმანელები კარგად მოეპყრობიან, რომ ისინი მცხოვრებლებს ხელს არ ახლებენ, რომ ისინი მხოლოდ ებრაელებსა და კომუნისტებს ხვრეტენ. გერმანელი ოფიცერი ასეთსავე წინადადებას აძლევდა ჩემთან ერთად მყოფ სხვა ტყვეებსაც.

საბჭოთა სამი მოქალაქე, რომელთაც გადაჭრით უარი სთქვეს გამხდარიყვნენ ფაშისტთა აგენტები, ერთერთი დაკითხვის შემდეგ აღარ დაბრუნებულა და, როგორც შემდეგ შევიტყვე, გერმანელებმა დახვრიტეს ისინი.

ერთხელ ოფიცერმა დამიძახა და მუქარით მომთხოვა დაუყოვნებლივ გამეცა პასუხი. დავთანხმდი, რადგან მეშინოდა, რომ დამხვრეტდნენ. ოფიცერმა ხელწერილი ჩამომართვა, რომ მე ვალდებულებას ვკისრულობ შევასრულო გერმანიის არმიის სარდლობის ყოველივე დავალება საბჭოთა ტერიტორიაზე. შემდეგ გამომიყვანეს ქალაქ გარეთ და დამანახვეს, სად უნდა გადმოვსულიყავი ფრონტის ხაზზე.

როდესაც ქალაქში გამოვიარე, აშკარად ვხედავდი, როგორ დათარეშობდნენ გერმანელები სმოლენსკში. გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები ძარცვავენ ხალხს, ძარცვავენ ბინებს. ერთ ქუჩაში დავინახე, თუ როგორ აგროვებდნენ ერთ ადგილას ჯარისკაცები ტანისამოსსა და სხვა საოჯახო ნივთებს. მიუხედავად იმისა, რომ დღე იყო, ქუჩებში ქალაქის ერთი მცხოვრებიც არ ჩანდა. ერთ ქუჩაში დავინახე ქალებისა და ბავშვების გვამები.

ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება ჩემზე შემდეგმა შემთხვევამ მოახდინა. დაახლოებით ორ კილომეტრზე ქალაქიდან, გზის მახლობლად დავინახე, თუ როგორ ხმარობდა ძალას ქალზე სამი გერმანელი ჯარისკაცი. ქალი ისე იყო გაწამებული, რომ ყვირილი აღარ შეეძლო. იგი მხოლოდ კვნესოდა და ხმა ჩახლეჩილი ითხოვდა შველას.

ყოველივე იმისაგან, რაც დავინახე, ისეთი ბოლმა შემომაწვა და ისე ცუდად შევიქენი, რომ გადავწყვიტე გაზეთის საშუალებით მეამბნა ყველა მოქალაქისათვის მთელი სიმართლე ჩემზე და იმაზე თუ რა მხეცობას სჩადიან გერმანელები.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ ჩემი წერილი. იცოდეს ყველამ, თუ ვინ არიან გერმანელები და როგორ სურთ მოატყუონ ჩვენი ხალხი.

ვასილ იაკოვის-ძე სმირნოვი

სისხლის სამართლის დამნაშავე—ფაშისტი დივერსანტი და პროვოკატორი

ქალ. მოსკოვის ერთერთ თავდაცვითს საწარმოში გამოცხადდა ამ საწარმოს ყოფილი მუშა ექვთიმე ვასილის-ძე სემიკინი და მოითხოვა დოკუმენტები იმის შესახებ, რომ იგი წინათ ამ საწარმოში მუშაობდა.

მას ჰკითხეს, სად იყავ მას შემდეგ, რაც მსჯავრი დადეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვისო. სემიკინი აბნეულ და არადამაჯერებელ ახსნა-განმარტებას იძლეოდა, რაც აშკარად საეჭვოდ ეჩვენათ საწარმოს მუშაკებს.

საწარმოში მომუშავე ამხანაგებმა დაუყოვნებლივ მიიყვანეს სემიკინი საკვლევაძიებო ორგანოებში.

სემიკინის ვინაობის გამორკვევისას აღმოჩნდა, რომ იგი ამასწინათ დაბრუნებულა ფაშისტურ გერმანიის ტყვეობიდან, შეუმჩნევლად მოკალათებულა ერთერთ მუშათა საერთო საცხოვრებელში, სადაც ჩუმად დაიწყო აშკარა პროვოკაციული, მტრული მუსაიფი იმის შესახებ, რომ „გერმანელები კარგად, ადამიანურად ეპყრობიან ტყვეებსა და საბჭოთა მოსახლეობას, რომ გერმანელების შეიარაღებული ძალები მძლავრია და რომ ისინი მალე აუცილებლად მოვლენ მოსკოვშიო".

კვლევა-ძიების შედეგად სემიკინი გამოაშკარავებულ იქნა, როგორც დივერსანტი და პროვოკატორი, რომელიც ფაშისტ გერმანელთა სარდლობამ მტრული დავალებით გამოგზავნა მოსკოვში.

კვლევა-ძიების დროს სემიკინმა აჩვენა:

„წინათ ქალაქ მოსკოვის სამხედრო ქარხანაში ვმუშაობდი. 1941 წლის ივნისში მსჯავრი დამდეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და სასჯელი ქალაქ დოროგობუჟში მოვიხადე. შემდეგ ქალაქ ელნიაში გადამიყვანეს სანგრების სათხრელად. როდესაც ელნია გერმანელებმა დაიკავეს, მე ამ ქალაქში დავრჩი. გერმანელმა ჯარისკაცებმა დამაპატიმრეს და გერმანიის ჯარის შტაბში მიმიყვანეს. შტაბში გერმანელმა ოფიცერმა დამკითხა. როდესაც ვთქვი, პატიმარი ვარ და მსჯავრდადებული ვიყავი სისხლის სამართლის საქმეზე მეთქი, ოფიცერმა სულ სხვანაირად დამიწყო ლაპარაკი. პაპიროსი მომაწოდა და შემდეგ უბრძანა, ჩემს ბინაზე წაეყვანეთ. ბინაში მაჭამეს და არაყი დამალევინეს. საღამოს მოვიდა ოფიცერი, სწორედ ის, რომელმაც დღისით დამკითხა. მან სუფრა გაშალა, დაალაგა არაყი და საუზმე და მთელი ჭიქა არაყი დამისხა. როდესაც დავლიე, დამიწყო გამოკითხვა: ვინა ვარ, სად მიმუშავნია, მყავს ნათესავები თუ არა და სხვა. შემდეგ გამომკითხა ჩემი ნაცნობების ამბავი და მკითხა როგორ ცხოვრობენ მუშები საბჭოთა რუსეთშიო. ყველაფერი ვუამბე, რაც მკითხა.

მეორე დღეს ოფიცერმა კვლავ მიმიწვია და ღვინო დამალევინა. ამგვარად ოფიცრის ბინაზე 4 დღე ვიცხოვრე. ყოველ საღამოს არაყს მასმევდა.

ჩემთან საუბრის დროს იგი მეუბნებოდა, გერმანელები მალე აიღებენ მოსკოვს, დაამხობენ საბჭოთა ხელისუფლებას და ისეთი ადამიანები, როგორიც შენ ხარ მხოლოდ მოიგებენო. პირადად მე მთელ ამ მსჯელობას არ ვეწინააღმდეგებოდი. პირიქით, კვერს ვუკრავდი მას და ვჩიოდი, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან დაზარალებული ვარ და ამიტომ დიდად მაქლია გულს მეთქი (სემიკინი სამჯერ გაასამართლეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის).

ერთხელ ოფიცერმა მიმიწვია და მითხრა: შენ სხვა გზა არა გაქვს გარდა იმისა, რომ დახმარება აღმოუჩინო გერმანიის არმიას მის გამარჯვებაში. „მით უმეტესო, — ამბობდა იგი, — რომ მე და შენ უკვე კარგი ნაცნობები ვართ და შენ, თუ საჭირო იქნება, ყოველთვის შეგიძლია ჩემი დახმარების იმედი იქონიოო". მე ჩუმად ვიყავი. მაშინ მან დამუქრა, თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, გერმანიის არმიის სარდლობის დავალებანი უნდა შეასრულოო. დავთანხმდი. იგი დაწვრილებით მომიყვა, თუ რა უნდა მეკეთებინა სსრ კავშირის ზურგში. მან მითხრა, უნდა დაბრუნდე მოსკოვს და მოეწყო სამუშაოდ სამხედრო ქარხანაში და პირველი შესაძლებლობისთანავე ქარხანაში როგორმე მავნებლობა უნდა ჩაიდინოო. შემდეგ მითხრა, — შენ ყველგან ტრამვაიში, ქუჩაში, ქარხანაში უნდა ილაპარაკო, გერმანელების არ უნდა გეშინოდეს, ისინი მოსახლეობას ხელს არ ახლებენ, არამედ მათ სურთ მხოლოდ ებრაელები და კომუნისტები მოსპონო. შემდეგ დამავალა მევლო ბაზარში, სადაც კოლმეურნეები ჩამოდიან და მეამბნა ეს იმათთვის და დამერწმუნებინა ისინი, რომ არ გაქცეულიყვნენ, როდესაც გერმანელები მოდიან, და გაფრთხილებოდნენ მთელ თავიანთ დოვლათს, განსაკუთრებით პურს. დავთანხმდი ყველაფერი გამეკეთებინა, რაც მითხრა, და გამომიშვეს".

კითხვა: ნამდვილად კი გერმანელები როგორ ეპყრობიან მოსახლეობას მათ მიერ დაპყრობილ რაიონებში?

პასუხი: „რა თქმა უნდა, არა ისე, როგორც გერმანელი ოფიცერი ამბობდა. მე ჩემი თვალით მინახავს ელნიაშიც და სხვა ადგილებშიც თუ როგორ ძარცვავენ და ხოცავენ მოსახლეობას გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, მაგრამ ამის ლაპარაკი სასტიკად ამიკრძალეს".

მოქმედი არმია. [illegible] ბრძოლებში წაართვეს გერმანელებს [illegible] კორესპონდენტის მ. კალაშნიკოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

საბრძოლო დავალება შესრულებულია

მოქმედი არმია, 13 სექტემბერი (საკდესი). პოლკოვნიკ ბაბაროვის ნაწილმა საბრძოლო დავალება მიიღო — დაეკავებინა სადგურ ზ-ს რაიონი და მოწინააღმდეგე მდინარე დ-ს გაღმა გაედევნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე თავგამოდებით იცავდა თავს, ტრიალი მინდვრისა და გაუვალი ჭაობების გამო ადგილზე შეტევა ძნელი იყო, ნაწილის ქვედანაყოფებმა ბრწყინვალედ შეასრულეს საბრძოლო დავალება: მოწინააღმდეგე დამარცხებულ იქნა და მდინარე დ-ს გაღმა განდევნეს. მას 300-ზე მეტი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ჩვენმა ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს ორი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 2 მოტოციკლი, 15 ათასზე მეტი ვაზნა და მრავალი სხვა ნადავლი. მოკლულია გერმანელთა პოლკოვნიკი და თვალსაჩინო შტაბის ოფიცერი.

უშედეგო თავდასხმა

მოქმედი არმია, 13 სექტემბერი (საკდესი). გერმანელთა ყუმბარმშენების ჯგუფმა ღრუბლიანობით ისარგებლა და № პუნქტს ეპარებოდა. ფაშისტი სვავები აპირებდნენ ანაზდეულად დასხმოდნენ თავს ამ მნიშვნელოვან ობიექტს. მაგრამ ამ ოინიდან არაფერი გამოუვიდათ. მტერს დაუხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირ პოლკოვნიკ გუბანოვის ჯარის ნაწილის სტალინელი შევარდნები. ისინი გაბედულად ეკვეთნენ ჰაერის მეკობრეებს. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა.

ამხ. გუბანოვის ყურადღება მიიპყრო „იუნკერსმა-88“. საბჭოთა მფრინავმა მასში მალე გამოიცნო ფლაგმანი. ამხანაგი გუბანოვი მაღლა აფრინდა და პიკირება დაიწყო. ამას მოჰყვა ტყვიამფრქვევის ორი წყება, ტრასირებული ტყვიები ზუსტად მოხვდა მიზანს. „იუნკერსი“ ესოდენ სწრაფ თავდასხმას არ მოელოდა. განზე გაიწია, მაგრამ გვიანღა იყო და ალმოდებული მიწას დაენარცხა. იგივე ბედი ეწია სამ სხვა ყუმბარმშენსაც. ამხ. გუბანოვის მიერ ჩამოგდებული „იუნკერსის“ ნამსხვრევებში აღმოაჩინეს მაიორის ფორმით გამოწყობილი გერმანელი მფრინავის გვამი. მკერდზე მქარქალად უბრწყინავდა ორი „რკინის ჯვარი“. მაიორს ერთი ჯვარიც მიემატა — ხისა.

მემიზნე ბრიგადას გმირული სიკვდილი

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება, 8 სექტემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეცკორისაგან). მემიზნე ბრიგადა თავისი ქვემეხითურთ საცეცხლო პოზიციისაკენ მიემართებოდა. მას მოულოდნელად გარს შემოერტყა გერმანელთა ტანკების ჯგუფი.

მამაცი მებრძოლი არ დაიბნა, მიზრჯნითი სროლით გაანადგურა 3 ტანკი. ფაშისტებმაც აუტეხეს სროლა საქვემეხო გუნდს. მემიზნის თანაშემწე უსულოდ დაეცა. თვითონ ბრიგადა მძიმედ დაიჭრა.

მან, ამის მიუხედავად, განაგრძო სროლა და მეოთხე ტანკი დააზიანა. მტრის ახალმა ჭურვმა გააფუჭა ქვემეხი. ბრიგადა მეორედ დაიჭრა.

— დაგვნებდი, რუსო! აყაყანდნენ გერმანელები.

მტერი რკალივით შემოერტყა უშიშარ მებრძოლს.

— არა, ცოცხალს ვერ ჩამიგდებთ ხელში! დაიძახა ბრიგადამ და შევარდა იქვე ახლო ცეცხლმოკიდებულ ქოხში.

მშვიდობით სამშობლოვ! — გაისმა მისი ხმა ცეცხლის ალში, — ვკვდები, მაგრამ წყეულ ფაშისტებს არ ვნებდები.

ასე დაიღუპა მემიზნე ბრიგადა, რომელმაც ტანჯვით სიკვდილი არჩია ფაშისტების ხელში ტყვედ ყოფნას. არტილერისტებმა სამაგიერო გადაუხადეს მტერს მათი ამხანაგის დაღუპვისათვის. ასობით ფაშისტმა ჰპოვა სამარე იმ ქოხის გვერდით, სადაც მამაცი მებრძოლი ბრიგადა დაიწვა.

„კრასნაია ზვეზდა“, 9 სექტემბერი.

იტალიის თვითმფრინავის ჩამოგდება

მოქმედი არმია, 11 სექტემბერი (საკდესი). სოფელ ხ-ზე მტრის თვითმფრინავთა თავდასხმის დროს მეზენიტეებმა მტრის 3 მანქანა ჩამოაგდეს. 2 თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ, მესამე თვითმფრინავის მფრინავი პარაშუტით დაეშვა და ტყვედ წამოვიყვანეთ. იგი აღმოჩნდა იტალიის არმიის უფროსი ლეიტენანტი ნანინი.

ამ ცოტა ხნის წინათ იგი გაიწვიეს და თვითმფრინავ „კაპრონით“ გამოაგზავნეს გერმანია-რუმინეთის სამხედრო-საჰაერო ნაწილთა დასახმარებლად.

ნანინის სიტყვით, გერმანელები იტალიელ მფრინავებს ყველაზე ძნელ და საშიშ ოპერაციებში ჰგზავნიან.

„ფრონტ ილიუსტრირტეს“ მორიგი ნომერი

წითელი არმიის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ გამოუშვა გერმანელ ჯარისკაცთათვის განკუთვნილი ილუსტრირებული გაზეთის „ფრონტ ილიუსტრირტეს“ მე-6 ნომერი. გაზეთში დაბეჭდილია მთელი რიგი ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია ჰიტლერის არმიის დიდი ზარალი აღმოსავლეთის ფრონტზე. სურათების ქვეტექსტში სწერია: „სამი კვირის განმავლობაში წითელმა არმიამ გაანადგურა 12 სატანკო დივიზია, 37 ქვეითი და 8 მოტორიზებული დივიზია, სს-ის რამდენიმე ქვეითი დივიზია, „დეიჩლანდის“ და „ვიკინგის“ ქვეითი პოლკები და მთელი რიგი პოლკები სხვა დივიზიებიდან. ასეთია ჰიტლერის გამარჯვებათა რეალური უკუმხარე“.

გაზეთში დაბეჭდილია ბრძოლის ველზე დაღუპულ გერმანელთა სურათები. „სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა,—აცხადებს გაზეთი,—მესამე თვეა გრძელდება და პირსისხლიანი გიჟის ბრძანებით გერმანელ ჯარისკაცთა მესამე მილიონი დაღუპვისაკენ მიდის“. გაზეთი აფრთხილებს გერმანელ ჯარისკაცებს: „იწყება რუსეთის ცივი შემოდგომა. კოკისპირული წვიმები და უგზოობა დააჩქარებს გერმანიის არმიის დაღუპვას. ამიტომ, თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, ტყვედ ჩაბარდი წითელ არმიას“.

გმირი მებრძოლები ს. აბულაძე და გ. გვენეტაძე

ს. აბულაძე

გ. გვენეტაძე

— დიაღ, ჩემი შვილია გერმანე გვენეტაძე, რომელიც დააჯილდოვეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, — გახარებული მართმევს ხელს სახელოვანი მებრძოლის მამა ალექსანდრე არქიპოს-ძე.

— გერმანე 7 კლასის დამთავრების შემდეგ რიონჰესის მშენებლობაზე მუშაობდა, — ამბობს ალექსანდრე. — აქ იგი ორმაგად და სამმაგად ასრულებდა გეგმებს, რისთვისაც ხშირად აჯილდოებდნენ. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წითელ არმიაში იქნა გაწვეული. მონდომებული და მუყაითი მუშაობით გერმანე სწრაფად დაეუფლა სამხედრო საქმეს და მიიღო უმცროსი ლეიტენანტის სახელწოდება. ახლა იგი ებრძვის ქოფაკ ფაშისტებს.

მოკლე, მაგრამ შესანიშნავ წერილებს უგზავნის გერმანე თავის მშობლებს, დებს, ძმებს. „ძვირფასო მშობლებო! — სწერს იგი ერთ წერილში. — 22 ივნისიდან ომში ვარ. ნურაფერს იჯავრებთ. საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება. ფაშისტებს მუსრს ვავლებთ. თქვენი შვილი გერმანე“.

ასევე მოკლე, მაგრამ მშობლებისადმი გულთბილი და მუხანათ მტრისადმი სიძულვილით აღსავსეა შემდეგი მისი წერილები. „მამაჩემო! ფული გამოგიგზავნე. მე კვლავ კარგად ვარ. ფაშისტებთან ომში ყოველდღიურად ახალ-ახალ საბრძოლო წარმატებებს ვაღწევ. ჩვენი ძალები ძლიერი და აურაცხელია. ჰიტლერის აღსასრული უკვე ახლოვდება. თქვენი გერმანე“.

„ძვირფასო და საყვარელო დედა და მამა, დებო და ძმებო! მომილოცეთ: ჩემმა ოცეულმა ერთ დღეს გერმანელების ასეული მოსპო. მებრძოლებს თვალსჩინივით ვუფრთხილდები. იცოდეთ, გაგახარებთ და გასახელებთ აუცილებლად. თქვენი საყვარელი შვილი გერმანე“.

მართლაც გაიხარა გერმანეს ოჯახმა. მისი შვილი დააჯილდოვეს საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისათვის.

გახარებული ოჯახის სახელით მამა ალექსანდრე სწერს საყვარელ შვილს: „დიდი მადლობელი ვარ, ძვირფასო შვილო, რომ ასახელე შენი მშობლები, დები, ძმები, მთელი ჩვენი სოფელი. შენს დაჯილდოებას ყველა მილოცავს. ჩემს ოჯახში სიხარული დასადგურდა. ჩვენები ყველანი კოლმეურნეობაში სტახანოვურად მუშაობენ. მე პენსიის აღებაზე უარი ვთქვი და სამსახური დავიწყე ჩვენი სოფლის ფოსტაში. არაფერი არ იჯავრო, შვილო. შეუბრალებლად ულეწე მტერი. 1914 წლის ომში 4 წელი ვანადგურე გერმანელები და შინ მშვიდობით დავბრუნდი. ასე დაუმარცხებელი ჩამოხვალ შენც. შენი მამა ალექსანდრე“.

* * *

ალექსანდრე გვენეტაძის სახლიდან ნახევარი კილომეტრითაც არ იქნება დაშორებული იოსებ აბულაძე, რომლის შვილი სიმონი (იგივე გრიშა) გერმანესთან ერთად ატარებდა სიჭაბუკის წლებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იოსებ აბულაძე სიმონეთში ყველაზე ღარიბად ცხოვრობდა. შეეძინა თუ არა იოსებს მესამე ვაჟი, სოფელში ლაპარაკობდნენ: სად უნდა დაასახლოს საწყალმა კაცმა ამდენი ბიჭები, რა ეშველება საცოდავ ბავშვებსო.

მაგრამ ისტორიას ჩაბარდა ძველი დრო. გლეხკაცის ქოხები გაჩირაღდნებულ იქნა სტალინური ცხოველმყოფელი მზის შუქით და პატარა სიმონმაც დააღწია თავი მოჯამაგირეობას. ერთხანს ოჯახში და სასწავლებელში ყოფნის შემდეგ, რიონჰესის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა.

— ენაცვალოს მისი დედა, — გახარებული ამბობს სახელოვანი მებრძოლის დედა გვრიტია, — რაკი მან მუშაობა დაიწყო, წელში გავიმართეთ, ყოველ კვირადღეს დასაჩუქრებული მომდიოდა შვილი სამუშაოდან.

1937 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს სიმონი, როგორც 1915 წელს დაბადებული. არმიაში იგი მალე ათმეთაური გახდა, ხოლო შემდეგ — პოლიტხელი.

სიმონ აბულაძის მამაცობა და თავდადება დედა-სამშობლოსათვის განსაკუთრებით 22 ივნისის შემდეგ გამოჩნდა. ამას ადასტურებს მაღალი ჯილდო წითელი დროშის ორდენი და თვით მებრძოლის წერილები დედისა და ძმებისადმი.

სიხარულისაგან სახეგაბრწყინებულმა მოხუცმა გვრიტიამ უბიდან ამოიღო სასახელო შვილის წერილი და სთქვა: „წაიკითხე, შვილო, რას მწერს ვაჟკაცი ბიჭი“.

„ჩემო საყვარელო დედა! გულში არ გაივლო, რომ მე მტერმა რამე დამაკლოს. ამას ვერ მოისწრებიან ფაშისტები. თუმცა კი ძალიან გამიჭირდა ამ ორი დღის წინ, როდესაც 27 გერმანელი მხეცი დამესხა თავს და ცოცხლად ჩაგდება მოისურვეს ჩემი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არ დავნებდი, ერთბაშად დავაყარე ხელყუმბარები და ავალაპარაკე ჩემი ტყვიამფრქვევი. 3-4 კაცი გამექცა, დანარჩენებმა იქვე ჰპოვეს სამარე. გერმანელებთან უთანასწორო ხელჩართული ბრძოლა 4-ჯერ მომიხდა და საუკეთესოდ გამოვიყენე ხიშტი და დანა. ნურაფრის ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო დედა. ხშირად მომწერე ოჯახის ამბები, ფული ხომ არ გინდა? ახლა გიგზავნი 700 მანეთს და აწიც ყოველთვიურად გამოგიგზავნი ამდენს“.

სიმონს ასე უპასუხა დედამ:

„გაიგე შვილო შენი დაჯილდოება. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ოჯახში ყველანი კარგად ვართ. შენი ძმა ალექსანდრე ბრიგადირად მუშაობდა კოლმეურნეობაში და მისი ბრიგადა მთელს სოფელში მოწინავე იყო. ახლა, ერთი თვეა წითელ არმიაში გაიწვიეს და ბედნიერი ვარ, რომ ორი შვილი მყევხართ გაგზავნილი სამშობლოს დასაცავად. ჩვენ ყველანი სტახანოვურად ვმუშაობთ კოლმეურნეობაში. რაც შეგვეძლება, ყველაფერში დაგეხმარებით, ქვეყნის თავდაცვის ფონდში შევიტანე 180 მანეთი და წითელარმიელებისათვის ახლა ვამზადებ თბილ ტანსაცმელსა და 2 წყვილ წინდას. არავითარ შემთხვევაში არ დაზოგო შვილო ფაშისტები. მაგათ აგვირიეს ტკბილი ცხოვრება. აბა შენ იცი, ჩემო საყვარელო შვილო, კიდევ როგორ მასახელებ, როგორ გმირულად იბრძოლებ სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის. შენი დედა გვრიტია“.

* * *

პატრიოტიზმით აღსავსე ასეთ წერილებს ღებულობს და გზავნის ჩვენი ფოსტა ფრონტზე და ზურგში. გაერთიანებულ, მრისხანე ძალად არის აღმართული მთელი საბჭოთა ხალხი ჰიტლერელთა გაცოფებული ურდოების გასანადგურებლად.

დ. საბელაშვილი

სოფ. ზ/ვ. სიმონეთი (ქუთაისის რაიონი), 13 სექტემბერი.

მომქმედი არმია. ტელეფონისტი ი. ქ. სკორომნი სანგარში (დასავლეთი მიმართულება)

ფოტო მ. ალპერტისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ძვირფასო ამხანაგებო, ლენინის ქალაქის ჭაბუკებო და ქალიშვილებო!

სიამაყით, აღტაცებით ადევნებს თვალყურს მთელი საბჭოთა ხალხი ლენინგრადელთა გმირულ ბრძოლას, რომელნიც თავგანწირულად იცავენ გამხეცებული მტრისაგან ლენინის დიდი ქალაქის მისადგომებს.

ლენინგრადელ კომკავშირელებს, ლენინგრადელ ახალგაზრდობას საპატიო ადგილი უჭირავთ წითელი არმიისა და სახალხო ლაშქრის რიგებში.

ქალაქ თბილისის—საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის—ახალგაზრდობა, შეიკრიბა რა ჩვენი მშობლიური წითელი არმიის გმირული ბრძოლისადმი მიძღვნილ მიტინგზე, მხურვალე საბრძოლო კომკავშირულ სალამს უძღვნის ლენინის ქალაქის ჩვენს სახელოვან, მამაც, უშიშარ ახალგაზრდობას.

ლენინის ქალაქი! რაოდენ ძვირფასს, მახლობელს, მშობლიურს შეიცავენ ეს სიტყვები ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის.

აქ შექმნა დიდმა ლენინმა ბოლშევიკური პარტიის პირველი უჯრედი. აქ აღმართეს ლენინმა და სტალინმა დიდი სოციალისტური რევოლუციის დროშა. აქ, დიდი მშობლიური ქალაქის მისადგომებზე, წითელმა არმიამ, პიტერის გმირმა მუშებმა, პიტერის თავგანწირულმა ახალგაზრდობამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გაანადგურეს იუდენიჩის ბანდები. აქ, ლამაზი ნევის ნაპირებზე, ლომონოსოვის, რადიშჩევის, პუშკინის, ბელინსკის, გოგოლის, ტურგენევის, ნეკრასოვის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის, შჩედრინის, გორკის, მაიაკოვსკის შემოქმედებითმა გენიამ შექმნა უკვდავი ნაწარმოებნი — ძვირფასი განძი კაცობრიობის კულტურის საუნჯეში. აქ დავაჟკაცდნენ, როგორც შემოქმედნი, დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, საქართველოს მრავალი მეცნიერი და მწერალი.

არასოდეს არ განხორციელდება მტრის საზიზღარი ზრახვები — ხელში ჩაიგდოს ლენინგრადი.

ვერა, ვერასოდეს ვერ ეღირსებიან ფაშისტი პირსისხლიანი ქოფაკები ლენინგრადში შესვლას, ვერ დასდგამენ ფეხს ლენინის ქალაქის წმინდათა-წმინდა მიწაზე!

რა მხურვალედ სცემს ჩვენი გული, რა აღტაცება მოგვიცავს, როდესაც ვკითხულობთ და ვისმენთ, თუ რა ვაჟკაცურად იგერიებენ საზიზღარ მტერს წითელი არმია, სახალხო ლაშქარი და მათ რიგებში ლენინგრადის სახელოვანი ახალგაზრდობა.

არ არსებობს ისეთი ძალა, რასაც შეეძლოს გასტეხოს ის ხალხი, რომელმაც აღზარდა გმირთა თაობა, რომელმაც თავის დროზედ გაიხადა ხალხის მასების უმაგალითო გმირობა. არ არსებობს ისეთი ძალა, რასაც შეეძლოს გასტეხოს ჩვენი ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, რომელიც თავგანწირულად იცავს თავისი სიცოცხლის უფლებას, იცავს თავის შვილთა — ვაჟთა და ქალთა თავისუფლებას, პატივს, ღირსებას, დიდი სამშობლოს თავისუფლებასა და ღირსებას.

მტერი გაბოროტებით მოძვრება წინ. იგი ლენინგრადის მისადგომებზე გზავნის ახალ-ახალ დივიზიებს. იგი უმაგალითო ბოროტმოქმედებასა და მხეცობას სჩადის. ჰიტლერი თავის ბინძურ, სისხლიან ტორებს იწვდის ლენინის ქალაქისაკენ, რათა ხელთ იგდოს, დაანგრიოს, შებილწოს იგი, დასცინოს ჩვენს წმინდათა-წმინდას.

თქვენი გმირობა, ვაჟკაცობა, სიმტკიცე, თავაწყვეტილი ფაშისტი ქოფაკებისათვის თქვენ მიერ მომზადებული ლახვარი ჩაცემა ახლოვებს მტრის დაღუპვას, ჩვენს გამარჯვებას. მტრის მრავალი დივიზია განადგურდა ლენინგრადის მისადგომებზე.

ამხანაგო ლენინგრადელებო, თქვენთან არის მთელი ჩვენი ქვეყანა! მან კარგად იცის, რომ თქვენ გამარჯვებთ!

ჩვენ გავიმარჯვებთ, ვინაიდან ვიბრძვით სამართლიანი საქმისათვის, სიცოცხლისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, რომლებიც მოგვიპოვა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლებიც გასხივოსნებულია სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზით.

დიდება ლენინის ქალაქს, მის დამცველებს, რომელთა რიგებშიც მამაცურად იბრძვის ლენინგრადის ახალგაზრდობა!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

კიევის გმირ ახალგაზრდობას

ძვირფასო ამხანაგებო!

ქალაქ თბილისის მშრომელი ახალგაზრდობა, შეიკრიბა რა წითელი არმიის საგმირო საქმეებისადმი მიძღვნილ მიტინგზე, თავის მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ, კიევის გმირ, მედგარ დამცველთ!

მრისხანე ჟამს, როდესაც გერმანიის ფაშიზმის ბანდები თავის სისხლიან ტორებს იწვდიან კიევისაკენ — მოძმე საბჭოთა უკრაინის დედაქალაქისაკენ, ამ ძველი და სახელოვანი ქალაქისაკენ, — რომელიც თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის გმირული ტრადიციების მატარებელია, — ჩვენი გული და ფიქრები თქვენთან არის. ჩვენ აღტაცებაში მოვყევართ თქვენს თავდადებულ ბრძოლას ფაშისტ ბარბაროსთა ურდოების წინააღმდეგ, რომლებსაც სწადიათ გაანადგურონ და დაამონონ ჩვენი თაობა, გადაგვაქციონ უტყვ და მორჩილ მონებად.

მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება! სიძულვილი მტრისადმი, ღრმა რწმენა ჩვენი საქმის სიმართლისადმი აათკეცებს ჩვენს ძალას, რომელსაც მტერი ვერასოდეს ვერ გასტეხს.

კიევის ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თქვენი სახელოვანი ქალაქი განსაკუთრებით მახლობელი და ძვირფასია ქართველი ხალხისათვის: აქ აღიზარდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, კიევში მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა, რევოლუციის კეთილშობილმა რაინდმა, დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა — ლადო კეცხოველმა.

სამოქალაქო ომის პირობებში თავგანწირულად იბრძოდა უკრაინის თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ლეგენდარული გმირი—დივიზიის მეთაური კიკვიძე.

უკრაინელ და ქართველ ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელიც შეურყეველ ძალად გაიზარდა, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა იმის საწინდარია, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ მტერზე. ხალხთა ამ დიად მეგობრობას, რომელიც ჩვენთვის მოიპოვა ჩვენმა უფროსმა თაობამ, დავიცავთ და შევინარჩუნებთ გააფთრებულ ბრძოლებში გამხეცებული მტრის წინააღმდეგ.

ძვირფასო ამხანაგებო, კიევის სახელოვანო დამცველნო! ჰიტლერელთა ურდოებთან სისხლისმღვრელ შეტაკებებში უკრაინის მშრომელმა ახალგაზრდობამ გმირული მაგალითებით გვიჩვენა, რომ იგი ღირსეული მემკვიდრეა შჩორსისა და პარხომენკოს საბრძოლო ტრადიციებისა, რომ იგი იბრძვის და იბრძოლებს ისე, რომ სახელოვანი კიევი მუდამ დარჩება მტრისთვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

ჰიტლერის მრავალმა დივიზიამ ჰპოვა კიევთან სამარე და კიდევ მრავალი განადგურდება და გაცამტვერდება.

კიევი საბჭოთა ქალაქი იყო, არის და იქნება!

გაუმარჯოს კიევის გმირ დამცველებს, გაუმარჯოს სახელოვან უკრაინელ ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, დიდ **სტალინს!**

თბილისის ახალგაზრდობის თავდაცვითი საღამო

კვირას, 14 სექტემბერს ჩატარდა თბილისის ახალგაზრდობის თავდაცვითი საღამო. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლის ოთახები, დარბაზები და ბაღი ახალგაზრდობით აივსო. აქვე იყვნენ ახალგაზრდები სამხედრო ნაწილებიდანაც.

საღამო დაიწყო თანამედროვე სამხედრო იარაღის გამოფენის დათვალიერებით. ბაღში, სპორტულ მოედანზე მოეწყო სხვადასხვა სამხედრო ხასიათის სპორტული გამოსვლები. ახალგაზრდები ვარჯიშობდნენ ხელყუმბარის ტყორცნაში, ხელჩართული ბრძოლის წესების შესრულებაში, სიძნელეების გადალახვასა და ფიზკულტურისა და სპორტის სხვა სახეებში.

სპორტული ნაწილის დამთავრების შემდეგ საღამოს მონაწილენი შეიკრიბნენ სასახლის დარბაზში, სადაც მოისმინეს მოხსენებები — „საბჭოთა ხალხის სამამულო ომი“ — ქართულ ენაზე—ამხ. წულუკიძისა და რუსულ ენაზე—ამხ. სულეიმანისა. მოხსენებების შემდეგ ერთსულოვნად მიღებულ იქნა მისალმება ლენინგრადელი და კიეველი ახალგაზრდებისადმი, რომლებიც გმირულად იცავენ ჩვენს მშობლიურ ქალაქებს — ლენინგრადსა და კიევს.

დასასრულ საღამოს მონაწილეებს უჩვენეს კინოსურათი.

მოსკოვის მშრომელთა საჩუქრები გმირ მებრძოლებს

მოსკოვი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მოსკოვისა და მისი ოლქის მშრომელნი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ წითელი არმიის მებრძოლებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისადმი. ფაშისტურ ურდოებთან გმირულად მებრძოლ მეომრებს დიდი რაოდენობით უგზავნიან საჩუქრებს. ამ საჩუქრებს თან ახლავს გულთბილი წერილები.

უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ორგანიზაციებისა და კოლექტივებისაგან ფრონტზე გაიგზავნა 32 ვაგონი ამანათები. დედაქალაქისა და ოლქის მშრომელებმა დასავლეთის მიმართულებით მომქმედ მებრძოლებს გაუგზავნეს 105.000 ამანათი, წონით 104 ტონა. ამ ამანათებში საპონი, კბილის ფხვნილი, სამართებლები, ცხვირსახოცები, შოკოლადი, ნამცხვარი, შაქარი, კონსერვები და სხვ. 8000 ამანათზე მეტი გაეგზავნა სახალხო ლაშქრის მებრძოლებს, რომლებიც წითელი არმიის მხარდამხარ მედგრად ებრძვიან მტერს.

მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ბევრმა კოლექტივმა, ჩვენი სამშობლოს მამაცი დამცველებისაგან უკვე მიიღო საპასუხო წერილები, რომლებშიც გამოთქმულია მადლობა საჩუქრებისათვის.

ძერჟინსკის რაიონის № ქარხანაში 12 სექტემბერს დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთი უბნიდან ჩამოვიდა დელეგაცია, რომელმაც სარდლობის დავალებით გადასცა მოსკოველებს პირადი მადლობა იმ მზრუნველობისა და სიყვარულისათვის, რასაც ისინი იჩენენ წითელი არმიისადმი.

მოსკოვსა და მის ოლქში საჩუქრების შეგროვება გრძელდება.

ვ. ყარა-მურზა

სისხლისგან იცლება დასავლეთი უკრაინა

წელიწადნახევარზე მეტ ხანს, 1939 წლის სექტემბრით დაწყებული, სწრაფად მიდიოდა წინ დასავლეთი უკრაინა. ერთიანუთად იმატა სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების რიცხვმა, ერთიათად გადიდდა მუშათა რიცხვი ძველს ფაბრიკებში, წარმოიშვა ათობით ახალი საწარმო. გაიხსნა ახალი საავადმყოფოები, ამბულატორიები, საბავშვო ბაგები. ბიბლიოთეკების ქსელი მოეფინა ქალაქებსა და სოფლებს. მინდვრებში, სადაც წინათ მხოლოდ გუთანი მუშაობდა, მანქანები გამოჩნდნენ. სწრაფად ვითარდებოდა სასოფლო მეურნეობა. უზარმაზარი სახსრები დაიხარჯა ქალაქებისა და სოფლების განვითარებისათვის.

1941 წლის 22 ივნისს სანისა და ბუგის ნაპირებზე გაისმა სროლის ხმა. ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო ღამის წყვდიადი, რომ გერმანელთა თვითმფრინავებმა ქალაქებზე ჩამოყრილი ყუმბარების გრგვინვით აუწყეს ქვეყანას ომის დაწყება. საბჭოთა მესაზღვრეებისა და წითელი არმიის რაზმები, იხევდნენ რა უკან, გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. დასავლეთ უკრაინის მიწა-წყალზე შემოიჭრა გერმანულ-ფაშისტური არმია.

23 ივნისს მოვიდა პირველი ცნობები იმის შესახებ, თუ რას სჩადიან გერმანელები დაპყრობილ მიწა-წყალზე.

ომის დაწყებიდანვე საზღვრისპირა დაბებიდან სიჩქაროდ გაჰყავდათ ქალები და ბავშვები. რავა რუსკაიას იქით გერმანელთა რაზმმა დააკავა სატვირთო მანქანა, რომელშიც 20-მდე ქალი და ბავშვი იჯდა. გერმანელებმა თოფით დახვრიტეს დედები, ბავშვები კი ხიშტით განგმირეს. არცერთი არ გადარჩენილა ცოცხალი.

დაბა დუბნოში გერმანელები უეცრად შემოიჭრნენ სამხრეთიდან. მამაცათა ნაწილმა წასვლა მოასწრო. გერმანელებმა პარტიულ მუშაკთა ოჯახები დიდ კარაპანში შეჰყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. 20-მდე ქალი და ბავშვი ცეცხლში დაიღუპა.

სოფლებზე გავლისას გერმანელები ხეჯითად გამოჰკითხავდნენ ხოლმე კოლმეურნეობებში. კოლმეურნეებს დაუყოვნებლივ ჩამოახრჩობდნენ ხოლმე. ლვოვისა და დროჰობიჩის ოლქებში გზისპირა ხეები სახრჩობელებად იქნა გამოყენებული მრავალი ათეული ადამიანისათვის.

დაიწყო მოსახლეობის მასობრივი გაქცევა, რომელიც ხედავდა, რომ მას უფრო საშინელი რამ მოელის, ვიდრე სიკვდილი-ტანჯვა, წამება და აბუჩად აგდება. აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სასოფლო გზები აივსო ადამიანებით, რომლებიც მიდიოდნენ ქვეითად, უნიღუბოდ, ფეხშიშველი და ტანშიშველი...

გერმანელთა თვითმფრინავები ამოქმედდნენ. ყუმბარები დააყარეს საევაკუაციო მატარებლებს. 24 ივნისს ლვოვის ახლოს გერმანელებმა ყუმბარები დააყარეს მატარებლის 2 ვაგონს, რომლებშიც მხოლოდ ქალები და ბავშვები ისხდნენ. 100-ზე მეტი კაცი იქნა მოკლული. ჰიტლერელი მფრინავები დაბლა ეშვებოდნენ გზებზე და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ცელავდნენ ათობით და ასობით ადამიანებს. დაბა ბობრკის მიდამოებში, ბერეჟანის და ზლოჩევის ახლოს გზა მორწყო მშვიდობიანი ადამიანების სისხლით, რომელთა შორისაც უმეტესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ.

ბომბარდირება ხდებოდა დღისით და ღამით. ფაშისტები ყუმბარებს აყრიდნენ ისეთ ობიექტებს, რომელთაც არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არა ჰქონდათ. პირველი დიდი ყალიბის ყუმბარები ლვოვში შუაგულ ქალაქში ჩამოყარდა, სადაც არც ფაბრიკები იყო და არც სამხედრო დაწესებულებები, ყუმბარები დაეცა მიკოლაშის პასაჟს მისი მრავალრიცხოვანი მაღაზიებითა და საწყობებიურთ. პასაჟი ჩამოინგრა და ნანგრევების ქვეშ დასამარა 70-ზე მეტი კაცი.

როცა ჰიტლერელთა ბანდები ლვოვში შემოვიდნენ, მათი პირველი მსხვერპლი ებრაელები გახდნენ. ისინი დაუყოვნებლივ გამოიყვანეს სახლებიდან, გაამწკრივეს და თოფის კონდახებით ერეკებოდნენ ქუჩებში.

ებრაელებს უბრძანეს თვითონვე გაითხარათ თავიანთი საფლავი. ადამიანები თოფის კონდახებით ჩაჰყარეს ორმოში და ცოცხლად დამარხეს. არცერთი შეპყრობილი შინ აღარ დაბრუნებულა.

პირველ ივლისს დაიწყო რბევა ლოზუნგით: „ძირს ებრაელები და პოლონელები!“ ადამიანებს ხოცავდნენ ქუჩებში, რკინის კეტებითა და კონდახებით უპობდნენ თავს, სახლის ფანჯრებიდან ქვაფენილზე ჰყრიდნენ. ველურ ყიჟინასა და გინებაში დაჭრილებს მიერეკებოდნენ ქუჩებში, დაცემულთ კონდახით ჰკლავდნენ, ჩექმით სთელავდნენ. რბევის პირველ დღეს დაიღუპა დაახლოებით 400 კაცი.

მეორე დღეს მოწყობილ იქნა ჰაუსმანის პასაჟში მოკლულთა გამოფენა. სახლის კედლებთან დაწყეს დასახიჩრებული გვამები. საშინელი „გამოფენა“ იხსნებოდა ახალგაზრდა ქალისა და ბავშვის გვამებით. ხიშტი, რომლითაც დედის მკერდს მიაჭედეს ბავშვი, ამოუღებელი იყო.

ჰიტლერელთა მოლოდინის წინააღმდეგ, „გამოფენამ“ ვერავინ შეაშინა. პირიქით, მან საშინელი სიძულვილი და გაბოროტება გამოიწვია ჯალათთა წინააღმდეგ. ქალაქში მღელვარება დაიწყო. ფაშისტები, რომელთაც ძლიერი გარნიზონი არა ჰყავდათ, შეშფოთდნენ. მეოთხე დღეს რბევა ოფიციალურად აკრძალულ იქნა. რასაკვირველია, ხალხის ხოცვას შემდეგშიც განაგრძობდნენ, მაგრამ ახლა უკვე მხოლოდ შენობებში.

იმავე მეოთხე დღეს გამოჩნდა გესტაპოც. დაიწყო „გეგმიანი“ დაპატიმრება ინტელიგენციისა, მოწინავე მუშებისა და ხელისა, ვინც კი ქალაქის ცხოვრებაში აქტიურად იღებდა მონაწილეობას. დაპატიმრებულნი მიჰყავდათ ვინიკის ტყეში ლვოვის მახლობლად და იქ ასობით ხვრეტდნენ. ლვოვში გესტაპოს მიერ მცხოვრებლებთან ანგარიშის გასწორების ოთხი კვირის განმავლობაში 6 ათასი კაცი დაიღუპა.

ძლიერდებოდა ლვოვის მცხოვრებთა წამება და აბუჩად აგდება. ებრაელებს ებრძანათ, ხელით აჰკრიფეთ ბომბარდირების შემდეგ ქუჩებში დაცვივნული მინის ნამსხვრევებიო. კოპერნიკის ქუჩის კუთხეში პოლონელმა ქალიშვილმა გაბედა და ცხვირსახოცი მიაწოდა ებრაელ მოხუც ქალს, რომელსაც ხელისგულებიდან სისხლი სდიოდა. გერმანელი ოფიცერი მივარდა და ქალიშვილს კონდახი ჩაჰკრა გულში.

ლვოვში ჰიტლერელთა მესამე კვირის პარპაშის დროს შეპყრობილ იქნა და შემდეგ დახვრიტეს პოლონეთის ყოფილი პრემიერი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი კაზიმირ ბარტელი. ბარტელთან ერთად დახვრეტილ იქნა პოლონური მეცნიერების კიდევ 16 წარმომადგენელი, ლვოვის უნივერსიტეტის, სამედიცინო და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორები.

ძრწოლამ მოიცვა ქალაქი. ქალებმა საერთოდ შესწყვიტეს ქუჩაში გამოსვლა. ჰიტლერელები ქუჩებში თავს ესხმოდნენ ქალიშვილებს და აუპატიურებდნენ, იმათ კი, ვინც მსხვერპლთა დაცვას გაბედავდა, ჰკლავდნენ.

მყისვე დაიწყო ძარცვა. ართმევდნენ მთელ ფულს, ფასეულობას, ტანისამოსს. დანგრეულია მიცკევიჩის ძეგლი, ეს ძვირფასი ისტორიული მოგონება ლვოვისათვის.

იმის წინაშე, ვინც ტყვიას ან ჯოხს გადაურჩა, შიმშილით სიკვდილის აჩრდილი აღიმართა. საწყობები და მაღაზიები, რომლებიც წინათ სახელმწიფოს ეკუთვნოდა, დაიხურა. დაძარცვულ სოფლებს არაფერი შემოაქვთ. იმის შესახებ კი, რომ ქალაქი გერმანელებმა მოამარაგონ, ლაპარაკიც ზედმეტია.

— დღევანდელი ლვოვი დიდი სასაფლაოა,—ამბობს პოლონელი ნორბერტ ბურეკი, რომელიც გერმანელებმა ჯარში გაიწვიეს და რომელიც ფრონტზე მისვლის დღესვე ტყვედ დანებდა წითელი არმიის ნაწილებს. თითქმის მთელი მოწინავე ინტელიგენცია საშინელი სიკვდილით დაიღუპა. ლვოვის მცხოვრებნი ათიათასობით წაიყვანეს შიდა გერმანიაში, არავინ იცის სად—სამუშაოდ თუ საკონცენტრაციო ბანაკებში. პოლონეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს სულერთია. შინ არავინ ბრუნდება არც ბანაკებიდან და არც „სამუშაოდან“.

ხომ შეუძლებელია იმის დავიწყება, რომ ლვოვში პოლონელი ინტელიგენციის მშვენება იყო. აქ იყო ცნობილი პოლიტექნიკური ინსტიტუტი და უნივერსიტეტი. აქ 1939 წლის სექტემბრიდან აღმოჩნდნენ უდიდესი პროფესორები, მათ შორის ბევრი ისეთი, რომელთაც მთელს ევროპაში ჰქონდათ სახელი განთქმული, მწერლები, ინჟინრები, მსახიობები, ექიმები, რომლებსაც მთელი პოლონეთი იცნობდა. მიხაკისფერი მკვლელები უწინარეს ყოვლისა მათ გაუსწორდნენ და სისასტიკით გადაახარბეს იმ ბოროტმოქმედებს, რომლებიც მათ კრაკოვში, ვარშავაში და პოზნანში ჩაიდინეს.

ჩაკვდა ქალაქის კულტურული ცხოვრება. დახურეს ბიბლიოთეკები, დაანგრიეს სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორიები. მუშაობა შეწყვიტა ლვოვის 4 თეატრმა. სასწავლო წელი დაიწყო და სკოლები არ გახსნილა.

ტერორი ფართო ტალღად მოედო მთელს დასავლეთ უკრაინას. ბორისლავში ათასობით ადამიანი დაიღუპა ტყვიით, ათასობით ადამიანი გერმანიაში წაიყვანეს. დროჰობიჩში, ტარნოპოლში, სტანისლავში, როვნოში, კრემენეცში რბევა და მასობრივი სიკვდილით დასჯა გაჩაღდა. საპყრობილეები აივსო. სოფლები პირწმინდად გაძარცვეს. ძარცვა-გლეჯა ან სავსებით აშკარად ხდებოდა, ან როგორც „ყიდვა“. ამასთან, მაგალითად, ძროხაში იძლეოდნენ 3 მანეთსა და 50 კაპიკს, ესე იგი, გერმანული ანგარიშის მიხედვით (ერთი მარკა — 10 მანეთია), მესამედ მარკაზე ცოტა მეტს.

ყველას, ვისაც კომუნისტური პარტიის წევრობას შესწამებდნენ, ხვრეტდნენ წამებისა და აბუჩად აგდების შემდეგ. ყველგან ჩხრეკას და დაკითხვას ახდენდნენ, რათა კომუნისტები აღმოეჩინათ. დაკითხვაზე წაყვანილ პირთ ხიშტით უხვრეტდნენ ხელისა და ფეხის გულს, გახურებული შანთით სწვავდნენ, თვალებს სთხრიდნენ, ქალებს ძუძუებს აჭრიდნენ. გესტაპოს მოსვლის შემდეგ იწყებოდა ტერორი სისტემატური, ორგანიზებული. ხალხს აპატიმრებდნენ და მასობრივად სჯიდნენ სიკვდილით. შემდეგ „ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს“ აარსებდნენ. ამასთან ჰიტლერელები ფართოდ იყენებდნენ ყოველგვარ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხროვას — ადამიანებს, რომელნიც სასჯელს იხდიდნენ ბანდიტიზმისათვის, ქურდობისათვის, სახლის გატეხისათვის, მკვლელობისათვის. ეს ადამიანები ხდებოდნენ მოსახლეობის სიცოცხლისა და სიკვდილის ბატონ-პატრონნი.

ყუმბარებითა და ხანძრებით დაიწყო მოსპობა. ჰიტლერელთა არმიამ განავითარა იგი, გესტაპომ საბოლოოდ დაამთავრა.

დღითიდღე უფროდაუფრო შავბნელი ამბები მოდის. გერმანელები მძვინვარედ უსწორდებიან ებრაელებს, პოლონელებს და უკრაინელებს. ამისათვის ხვრეტენ ათზე ერთ ინტელიგენტს, ამისათვის მუსრს ავლებენ მუშებს, სწვავენ პოლონურ სოფლებს ტარნოპოლისა და ლვოვის ახლოს. იღუპება ქალაქი, იღუპება სოფელი.

საფლავზე დარჭობილი ჯვარივით გაშალა მკლავები სვასტიკამ დასავლეთ უკრაინის მიწა-წყალზე. მაგრამ, მიუხედავად ტერორისა, ჰიტლერელებმა ვერ გასტეხეს ადამიანები. საბოტაჟისა და მიხაკისფერ მკვლელებზე თავდასხმის აქტები უფროდაუფრო ხშირდება, დასავლეთ უკრაინაში სულ ახალ-ახალი პარტიზანული რაზმები იქმნება, რომელნიც დამპყრობთ ებრძვიან.

გაწამებული, სისხლისაგან დაცლილი დასავლეთი უკრაინა ურყევი რწმენით მოელის თავისი განთავისუფლების დღეს.

ვანდა ვასილევსკაია.

კიევი, 10 სექტემბერი (საკდესი).

ბულგარელი ხალხის ძმური სიმპათია სსრ კავშირის მიმართ

სოფია, 13 სექტემბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ბულგარელი ხალხის ფართო მასებში. მეფის, მინისტრების, დეპუტატების, პარლამენტისა და გაზეთების რედაქციების სახელზე აუარებელი წერილი მიდის; ამ წერილებში სულ სხვადასხვა პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები ჰგმობენ ფაშისტ ყაჩაღებს და გულწრფელ სიმპატიას უცხადებენ საბჭოთა კავშირს, რომელიც სამართლიანი საქმისათვის იბრძვის. წერილებში ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ფაშისტური გერმანიის ცდა რუსი ხალხის წინააღმდეგ აბრძოლოს ბულგარელი ხალხი ჩაიშლება, ვინაიდან ბულგარელი ხალხი ძმური გრძნობით არის გამსჭვალული რუსი ხალხისადმი.

ქვემოთ მოგვყავს იმ რამდენიმე ათასი წერილის ნაწყვეტები, რომლებიც ბულგარელი ხალხის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირის სახელზე გამოგზავნეს.

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ თქვენთან ვართ ფაშიზმის საბოლოო განადგურებამდე. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, რადგან ჩვენი საქმე სამართლიანია".

(სტუდენტთა ჯგუფი)

„მივესალმებით წითელ არმიასა და მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც გმირულად ებრძვის გერმანულ ფაშიზმს, მსოფლიო პროგრესის მტერს. გვჯერა, რომ თქვენ გაიმარჯვებთ, თქვენი გამარჯვება კი ჩვენი გამარჯვებაც არის. ძმებო, ჩვენი მმართველები ემზადებიან იმისათვის, რათა ჩაგვაბან ომში თქვენს წინააღმდეგ. თუ ეს მოხდა, დარწმუნებული იყავით, რომ არცერთი ტყვია არ გამოვა სლავი ძმების და წითელი არმიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას, ავიაციასა და ფლოტს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის ბელადს ამხანაგ სტალინს!"

(გლეხების ჯგუფი)

„გთხოვთ გადასცეთ ჩემი მილოცვა რუს ხალხს, რომელიც თავგანწირულად იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ. წარმატებასა და გამარჯვებას ვუსურვებ აგრეთვე წითელ არმიას. მხურვალე სალამი გადაეცით საბჭოთა კავშირის დედებს, რომლებმაც სიამაყით გაგზავნეს თავიანთი შვილები მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. მეც, დედა, მზად ვარ ჩემი ერთადერთი შვილი გავგზავნო საზიზღარი ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი ბულგარელი ხალხი, ყველა ბულგარელი დედა, ქმრებთან და შვილებთან ერთად, მზად არის ბოლომდე იბრძოლოს სლავობისათვის, პირსისხლიან მტარვალებზე სრული გამარჯვებისათვის".

(დედა).

„რეგულარულად ვუსმენ მოსკოვს. მრწამს, რომ გმირი წითელი არმია გაიმარჯვებს. ჩვენგანი არავინ არ იბრძოლებს მძლავრი მოძმე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ—იმ ერთადერთი ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც ყველა თავისუფლად ჰგრძნობს თავს და ადამიანურად ცხოვრობს".

(სოფიის მრავალი ქალის სახელით)

„ჩვენ, ბულგარელი ჯარისკაცები, ფხიზლად ვდგავართ ჩვენს პოსტზე და ველით მომენტს, როდესაც შეგვეძლება ჩვენი პოლკები და დივიზიები დავძრათ ფაშიზმის წინააღმდეგ. მიიღეთ ბულგარელ ჯარისკაცთა მოლოცვა. გართმევთ ხელს".

(ბულგარელი ჯარისკაცები).

ნაცისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი (საკდესი). პრესის ცნობებით, მას შემდეგ, რაც ანტოფაგასტაში (ჩილე) აღმოაჩინეს საჰურველისა და სამხარო მასალის საწყობი, პოლიციამ დააპატიმრა ნაცისტთა 12-ზე მეტი მეთაური. ქალაქ ოსორნოსა და ლაუნიონში მოხდა თავდასხმა გერმანელთა კლუბებზე, სადაც დააპატიმრეს ნაცისტურ საქმიანობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე კაცი. როდესაც პოლიციამ გაიგო, გერმანიის ბანკში ფრიად მნიშვნელოვან ქაღალდებს სწვავენო, მან ბანკი გაჩხრიკა. პოლიციის ხელში ჩავარდა სამი პაკეტი დოკუმენტებითურთ.

ეკვადორში ამასწინათ დახურეს გერმანელთა სიდტის საჰაერო მიმოსვლის კომპანია. კიდევ უფრო ადრე დახურულ იქნა გერმანელთა სხვა საჰაერო კომპანიების საჰაერო ხაზები კოლუმბიაში, პერუში, ჩილესა და ბოლივიაში. სამხრეთ ამერიკაში გერმანელებს შერჩათ მხოლოდ ერთი საჰაერო ხაზი 70 მილი სიგრძისა მაშინ, როდესაც ომამდე ისინი მომსახურებას უწევდნენ 11.500 მილ საერთო სიგრძის რამდენიმე ტრასს.

დამძიმებული მდგომარეობა ნორვეგიის დედაქალაქში

სტოკჰოლმი, 14 სექტემბერი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა ბიურო იუწყება, რომ ოსლოში, აკერში, ბერუმსა და ასკერში შემოღებულია საგანგებო წესები.

გერმანიის პოლიციის უფროსმა ნორვეგიაში, გენერალმა რედიესმა ბრძანება გასცა, რომლის მიხედვითაც ამ რაიონების ფარგლებში აკრძალულია „რაიმე სახით მუდდრო შრომის დარღვევა", აგრეთვე გაფიცვებისაკენ ან გაფიცვებში მონაწილეობისაკენ მოწოდება. ნორვეგიის მოსახლეობას აკრძალული აქვს შინიდან გასვლა 20-დან 5 საათამდე. მთელი სატრანსპორტო საშუალებანი, რკინიგზის გარდა, მოვალენი არიან შესწყვიტონ მუშაობა 19 საათსა და 30 წუთზე. ყველა საზოგადოებრივი სადგომი და რესტორანი 19 საათზე იხურება, კინემატოგრაფები და თეატრები სულ იხურება. აკრძალულია აგრეთვე რაიმე კრებისა და მიტინგის გამართვა, ჯგუფ-ჯგუფად თავის მოყრა.

გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" სიტყვით, 11 სექტემბერს ოსლოში საყოველთაო გაფიცვა იყო განზრახული, მაგრამ ალბათ გაფიცვის მოწყობის გეგმა კვისლინგის ჯაშუშებმა ხელისუფალთ აცნობეს. მაშინვე გამოცხადდა საგანგებო წესები და ოსლოს გარსშემორტყმეს გერმანელთა დიდი სამხედრო ძალები, ხოლო სატელეფონო კავშირი სხვა ქალაქებთან შესწყდა. მთელი სატელეფონო, სატელეგრაფო და საფოსტო სადგურები გერმანელთა სასტიკ კონტროლქვეშ იმყოფება. პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელობა მოხსნილი და დაპატიმრებულია. გადაყენებულია აგრეთვე ნორვეგიის მეწარმეთა კავშირის მთელი ხელმძღვანელობა და იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავთ.

სტავანგერის გაზეთებში გამოქვეყნებულია საოკუპაციო ხელისუფლების მიმართვა მშობლებისადმი, სადაც მათ მოუწოდებენ ყოველი ღონისძიებით შეუშალონ ხელი ახალგაზრდობის მონაწილეობას იარაღის გატაცებაში. ქალაქსა და მის არე-მარეში ჩხრეკა და დაპატიმრება მოახდინეს. საოკუპაციო ხელისუფლება იმუქრება, თუ დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეთ, სტავანგერს კონტრიბუციას დაადებთო.

ომის საწინააღმდეგო განწყობილება გერმანიაში

ლონდონი, 13 სექტემბერი (საკდესი). სირიის გაზეთ „ეურს" მოჰყავს იმ ლტოლვილთა ნაამბობი, რომლებიც ეს-ეს არის საფრანგეთიდან დაბრუნდნენ. მათი სიტყვით, გერმანელთა სარდლობამ გერმანიის ჯარის რამდენიმე ნაწილი გადაგზავნა საფრანგეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანელი ჯარისკაცები ამ ახალ ცნობას დიდი შეშფოთებით შეხვდნენ. დაიწყო დეზერტირობა. გესტაპოს აგენტები ბევრ ჯარისკაცს სარდაფებში ჰპოულობდნენ, სადაც ისინი იმალებოდნენ იმ იმედით, რომ თავიანთ ნაწილებს ჩამორჩებოდნენ. ვაგზლებზე ზოგიერთ ჯარისკაცს თვალები აცრემლებული ჰქონდა.

ლონდონის რადიო იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში ბერლინსა და ჰამბურგში კედლებზე კვლავ გაჩნდა ომისსაწინააღმდეგო და ანტიფაშისტური ლოზუნგები: „ძირს ჰიტლერი!", „ბოლო მოეღოთ ომს!", „ზავი და პური!".

გახშირდა ფრონტზე გერმანელთა ზარალის შესახებ მართალი ცნობების გავრცელებისათვის სამართალში მიცემის შემთხვევები. ფაშისტურმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა იმ პირთა გრძელი სია, ვისაც ბრალდება „უცხოეთის წყაროებიდან ამოღებული ახალი ამბების გავრცელება"; ამასთან გაზეთი იტყობინება, რომ ბევრ ბრალდებულს 5-დან 9 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს.

გერმანელ ნაცისტთა საშინელი ბოროტმოქმედებანი

ლონდონი, 13 სექტემბერი (საკდესი). ლონდონის რადიოს მოჰყავს ახალი ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანიაში აწყობენ „გერმანული რასის სიწმინდის დაცვის" ეგრეთწოდებულ პუნქტებს. იუწყებიან, რომ ყველა ქალიშვილი უკვე აღრიცხულია საპოლიციო უბნის მიერ და დაწესებულია დღეები, როდესაც ქალიშვილებს სამუშაო ადგილიდან ჰგზავნიან სპეციალურ პუნქტებში, სადაც მათ აუპატიურებენ „წმინდა არიული სისხლის" მქონე მამაკაცები. ვინც წინააღმდეგობას გაუწევს ბრძანების შესრულებას, მას საკონცენტრაციო ბანაკში ჰგზავნიან.

ნაცისტური ოფიციოზის აღიარება

სტოკჰოლმი, 13 სექტემბერი (საკდესი). გერმანულმა გაზეთმა „ფელკიშერ ბეობახტერმა" მოათავსა სტატია „აღმოსავლეთში წარმოებული ომის სახე", სადაც აღიარებს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის არმია მოულოდნელ სიძნელეებს წააწყდა.

„აქ,—სწერს გაზეთი,—მართლაც რომ ყველაფერი სულ სხვანაირი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა. ამ ლაშქრობაში გერმანელი ჯარისკაცი თითქოს გადაყვანილია სამყაროს სხვა ნაწილში ან სხვა პლანეტაზე, ამასთან ეს მარტო გეოგრაფიული აზრით როდი უნდა გავიგოთ. ამის მიზეზი არიან ადამიანები, რომელნიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ". გაზეთი მწარედ სჩივის, რომ ომის ასპარეზზე ბრძოლის დროს ბოლშევიკი მეომრები მაშინაც კი განაგრძობენ ბრძოლას, როდესაც ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან. ასე იქცევიან არა მარტო სამხედრო ფორმით გამოწყობილი გლეხები, არამედ მეთაურებიც.

ამ მოწინააღმდეგის მოქმედების გათვალისწინება შეუძლებელია. გერმანელი ჯარისკაცები დიდი ხანია შეეჩვივნენ იმას, რომ ზურგში 100 კილომეტრ მანძილზე შეიძლება აღმოჩნდეს ფრონტი. ყოველ მეადლეს ხელში უნდა ჰქონდეს თოფი ან ავტომატური რევოლვერი. ფრონტის დაშორებით მყოფი უმაღლესი შტაბებიც კი ღამით ვუშაგებს აყენებენ როგორც მოწინავე პოზიციებზე. განსაკუთრებულ თავს შეადგენს იმის აღწერა, თუ რა გაჭირვება განიცადა გერმანელმა ჯარისკაცმა და როგორი ამოცანების გადაჭრა მოუხდა მას. არ უნდა გვიკვირდეს, ამბობს გაზეთი, რომ ჯარისკაცი მკვახე სიტყვებით აგინებს „დახავსებულ სტრატეგებს", რომელნიც უკმაყოფილონი არიან ოპერაციების მიმდინარეობით აღმოსავლეთში.

გერმანიის ერთერთი არმიის მთავარსარდლის გენერალ ფონ-შობერტის დაღუპვა აღმოსავლეთის ფრონტზე

სტოკჰოლმი, 14 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის უმაღლესი სარდლობა თავის ცნობაში იუწყება, 12 სექტემბერს აღმოსავლეთის ფრონტზე დაიღუპა გერმანიის ერთერთი არმიის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ფონ-შობერტი.

დიდი აჯანყება ხორვატიაში

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" იუწყება, რომ უსტაშების გაზეთი „ხორვატიელი ხალხი", რომელიც ზაგრებში გამოდის, აღიარებს, რომ ბოსნიის მთებში სერბიელებისა და ხორვატების მძლავრი აჯანყება ჩაღდება.

იუგოსლავიის არმიის ყოფილმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, რომლებიც ოკუპირებული სერბიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, აჯანყება დაიწყეს გაცკოს მიდამოებში, ჰერცეგოვინისა და ჩერნოგორიის საზღვრის მახლობლად. მათ გამაგრებული პოზიციები შექმნეს მთებში. აჯანყებულნი შეიარაღებული არიან შაშხანებით, ტყვიამფრქვევებით და მსუბუქი ქვემეხებით. აჯანყება მოედო ჰერცეგოვინის ქალაქებს — ნევესინს, ლიუბინს, სტოლაცს და სხვებს. აჯანყებულებმა აგვისტოს დამლევს მოახერხეს და ხელთ იგდეს ბოსნიის ქალაქებს—მაგლაისა და დობოის შორის მდებარე რკინიგზის უბანი, სადაც 4 დღით შესწყდა მოძრაობა. პარტიზანებმა ქალაქ ტრავნიკის მრავალი უსტაში მოსპეს. მოსპობილ იქნა უსტაშთა რაზმები აგრეთვე ქალაქებში—ბელოვარსა, პეტრინიასა და კარლოვაცში. გრძელდება ბრძოლა ქალაქების—იაიცეს, დონი-ვაკუფისა და გლამოჩის რაიონში (ბოსნია).

გადმოგვცემენ, რომ აჯანყების ცენტრი არის ვიშეგრადში (მდინარე დრინაზე). აჯანყების ხელმძღვანელებს კონტაქტი აქვთ ბელგრადის ცენტრთან და ჩერნოგორიელთა სანჯაყის პარტიზანულ ცენტრთან. აჯანყებულთა წინააღმდეგ იტალიელთა ჯარისა და უსტაშების დიდი რაზმები გაიგზავნა.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 13 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 12 სექტემბერს ნაშუადღევს სანაპირო დაცვის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მტრის გემების ქარავანს ჰოლანდიის სანაპიროსთან. ყუმბარა მოხვდა ერთერთ ყველაზე დიდ გემს, რომელზედაც ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა, რომლებმაც ოპერაციები მოახდინეს ჩრდილოეთის ზღვაში, ჰოლანდიის სანაპიროსთან მოსპეს მტრის ავიაგამანადგურებელი. ინგლისის ერთი ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

12 სექტემბერს ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა დასავლეთ გერმანიაში არსებულ სამრეწველო ობიექტებს.

წუხელ გერმანიის ცალკეულმა თვითმფრინავებმა ყუმბარა ჩამოჰყარეს ინგლისში. ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ერთ პუნქტში დაზიანებულია რამდენიმე შენობა. არის მსხვერპლი. ჩამოგდებულია მტრის 2 ყუმბარმშენი.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 13 სექტემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავთა დიდმა შენაერთმა ყუმბარა დაუშინა ბრესტს. თვითმფრინავებმა დიდძალი ყუმბარა დააყარეს დოკებს, განსაკუთრებით იქ, სადაც სარემონტოდ დგას სახაზო გემები „შარნჰორსტი" და „გნაიზენაუ", მეორე შენაერთმა ყუმბარა დაუშინა ჰავრის დოკებს.

ინგლისის საჰაერო ფლოტი კვლავ წარმატებით დაესხა თავს მტრის კომუნიკაციებს ნორვეგიის სანაპიროს მახლობლად. 12 სექტემბერს, დილა-ადრიან თვითმფრინავები აფრინდნენ ავიოსანიდან და იერიში მიიტანეს მტრის გემებზე და სამხედრო ობიექტებზე ბოდეს რაიონში, ნორვეგიის სანაპიროზე. ჩაძირულ იქნა გერმანიის სატვირთო გემი დაახლოებით 2 ათასი ტონა წყალწყვისა და დაზიანდა მთელი რიგი სხვა გემები. ყუმბარები მოხვდა ალუმინის ქარხანას, სადაც ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ელექტროსადგური.

იმავ ღამეს მტრის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს ხუთ პუნქტს. ზარალი უმნიშვნელოა.

ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისის ყუმბარმშენებმა 11 სექტემბერს, ღამით, და 12 სექტემბერს, დღისით, იერიში მიიტანეს მტრის გემთა ქარავანზე ზღვის ცენტრალურ ნაწილში. რამდენიმე გემი ძლიერ დაზიანდა, მათგან 3, როგორც სჩანს, ჩაიძირა. 11 სექტემბერს, ღამით, წარმატებით ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე გემები და დოკები პალერმოში (სიცილია). იმავ ღამეს ლიკატში თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საომარი მასალის დამამზადებელ ქარხანას. თვითმფრინავთა მეორე ჯგუფმა ყუმბარა დაუშინა რკინიგზის სადგურს რაგუზის მახლობლად.

ლიბიაში 11 სექტემბერს, ღამით, თვითმფრინავებმა დიდძალი ყუმბარა დაუშინეს ბენგაზის სანაპიროსა და ნავსადგურს. ბევრგან ხანძარი გაჩნდა. უკან დაბრუნებულმა ინგლისის თვითმფრინავებმა ლიბიისაკენ მიმავალ გზებზე ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის ავტოტრანსპორტს.

ჰოლანდიის წყალქვეშა ნავებმა, რომელნიც ინგლისის ფლოტთან ერთად მოქმედებენ, ხმელთაშუა ზღვაში ჩასძირეს მტრის სატვირთო გემი დაახლოებით 6 ათასი ტონა წყალწყვისა.

ამერიკის გემებზე თავდასხმა სუეცის არხში

ლონდონი, 14 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 11 სექტემბერს ამერიკის ბაირაღით მიმავალი გემი „არკანზასი" დაზიანებულ იქნა ყუმბარების ნამსხვრევთა მოხვედრით სუეცზე საჰაერო თავდასხმის დროს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ამერიკის ხელისუფალნი შეუდგნენ ამ საქმ ს გამოძიებას. გემი „არკანზასი" დადიოდა შეერთებულ შტატებსა და მეწამულ ზღვას შუა. მისი ეკიპაჟი 38 კაცისაგან შესდგება.

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, სინგაპურში მისული ამერიკის გემის „ბიენვილის" ეკიპაჟის წევრებმა განაცხადეს, როდესაც მათი გემი სუეცის არხის ერთერთ ნავსაყუდელში იდგა, გერმანელებმა რამდენჯერმე დაუშინეს ყუმბარაო.

საფრანგეთის სამხედრო ფლოტი დაკარში

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, დაკარიდან გამოქცეული 2 დანიელი ჯარისკაცი, სადაც ისინი დაახლოებით ერთ წელიწადს იხსდნენ საპატიმროში, მოგვითხრობს, რომ დაკარში ფრანგებმა მოახდინეს მოკავშირე სახელმწიფოთა 30 გემის ინტერნირება. საფრანგეთის სამხედრო ხომალდებს შორის დაკარში არის სახაზო გემი „რიშელიე", 3 კრეისერი, 2 საესკადრო ნაღმოსანი, 3 საკანონერო ნავი და 15 წყალქვეშა ნავი. როგორც ეს დანიელები აღნიშნავენ, დაკარში მყოფი წყალქვეშა ნავები საფრანგეთის ბაირაღით დადიან, მაგრამ მათი უმრავლესობის ეკიპაჟის წევრები გერმანულად ლაპარაკობენ.

იტალიის მოთხოვნები საფრანგეთისადმი

სტოკჰოლმი, 14 სექტემბერი (საკდესი). ნორვეგიის სააგენტო პრეს ტელეგრაფის ცნობით, ამ ბოლო დროს იტალიის პრესა კვლავ აყენებს საფრანგეთისადმი ტერიტორიული მოთხოვნების საკითხს. საკმაოდ ცნობილი ფაშისტი ჟურნალისტი გაიდა აშკარად აცხადებს: „ფრანგები უნდა წავიდნენ საჭირო დათმობებზე, რათა შექმნან წონასწორობა, განსაკუთრებით იტალიის მიმართ".

ზოგიერთი ნეიტრალური წრე იტალიის პრესის ამ კამპანიას უკავშირებს ამ ბოლო დროს გაძლიერებულ ზემოქმედებას საფრანგეთზე „ღერძთან" მისი კიდევ უფრო დაახლოების მიზნით. იმუქრებიან რა ნიცის, კორსიკის, ტუნისისა და ჯიბუტის იტალიელებისათვის გადაცემით, გერმანელები მოითხოვენ გადაეცეს მათ საფრანგეთის საზღვაო ბაზები აფრიკაში და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაშთები.

შვედური გაზეთი ბერლინში არსებული განწყობილების შესახებ

სტოკჰოლმი, 13 სექტემბერი (საკდესი). შვედურმა გაზეთმა „აფტონბლადეტმა" გამოაქვეყნა ჟურნალისტი ქალის მოდ ადლერგრეიცის სტატია „ბერლინელთა დაღლილობა და აპათია".

რამდენიმე დღის განმავლობაში, — სწერს ადლერგრეიცი,—დავხეტიალობდი ბერლინში, ვათვალიერებდი ბომბარდირებისაგან დანგრეულ შენობებს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, თვალყურს ვადევნებდი ხალხს რიგებში, აგტობუსებსა და მეტროში. ვესაუბრებოდი ოფიციანტებს, კონდუქტორებს, ჯარისკაცებს, ყოფილ სკოლის მეგობრებს, ნაცნობებს, უცნობებს. არსად არ შევხვედრივარ გამარჯვებით გამოწვეულ აღტაცებას. ვამჩნევდი მხოლოდ დაღლილობას, ღრმა აპათიის გრძნობას და ერთადერთ სურვილს, რომ ჩქარა დაიდოს ზავი. ამ დაღლილობას, რომელიც გამოწვეულია ცუდი კვებით და ყუმბარსაფარებში გატარებული უძილო ღამეებით, ზედ ერთვის გამოუთქმელი შიში მოახლოვებული ზამთრის წინაშე.

გაზეთებში და რადიოთი გადასცემენ გამარჯვების მყვირალა ცნობებს. ბერლინელები საოცარ გულგრილობას იჩენენ ყოველივე ამისადმი. წინათ ბერლინის მეტროში ყოველი მეორე მგზავრი გაზეთს კითხულობდა. ახლა ყველანი უსაქმოდ სხედან, უძრავად, დაღლილი თვალებით შეჰყურებენ კედლებს, რომლის ახლოს მიჰქრის მათი მატარებელი. რესტორნებში გამოაკრეს განცხადებანი, სადაც წინადადებას იძლევიან სამხედრო ცნობების გადაცემის დროს დაიცულ იქნას სიჩუმე. განცხადებამ არ იქონია გავლენა. მე ხშირად შემინიშნავს როგორი გულმოდგინებით გადმოსცემდა დიქტორი სპეციალურ ცნობებს, მაგრამ ყველა დამშვიდებული სულ სხვა საქმეებზე განაგრძობდა საუბარს: სად შეიძლება იშოვოს კაცმა საქმელი, სად შეიძლება იყიდოს უბარათოდ ტანისამოსი და სხვა.

— ხელისუფლებისათვის ყველაზე საშიში, ისაა, რომ მოსახლეობას არა სჯერა გაზეთებისა. ერთი ქალი შემეკითხა: „ნუ თუ შესაძლებელია, რომ ჩვენ სულ ვიმარჯვებდეთ და ერთხელაც არ დავმარცხებულიყოთ?" ერთმა ქალმა, რომელსაც ვკითხე, როგორ ცხოვრობ მეთქი, მოსწრებულად მიპასუხა: „გაზეთის თვალსაზრისით კარგად ვცხოვრობთო".

მდგომარეობა ოკუპირებულ ქვეყნებში

ოკუპირებულ ქვეყნების მოსახლეობის ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ სულ უფრო-და-უფრო აქტიურ ხასიათს იღებს. ამასწინათ ბუქარესტში აფეთქება მოხდა სამეიჯრო ფაბრიკა „ასტრაში". სხვა რაიონებშიც საგრძნობლად იმატა საბოტაჟის აქტების რიცხვმა. ამასთან დაკავშირებით, რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ბრძანება იმის შესახებ, რომ ყოველგვარი „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის" დამნაშავენი ადგილზევე იქნებიან დახვრეტილნი. მაგრამ უშიშარი რუმინელი პატრიოტები განაგრძობენ თავიანთ საქმეს. რუმინეთის ხელისუფალთა მიერ ბუკოვინის გუბერნატორად დანიშნული პოდპოლკოვნიკი რიოშანუ ჩერნოვიცში მისი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოჰკლეს პარტიზანებმა

ბელგიაში ლიეჟის მახლობლად მდებარე ერთერთ სამხედრო საწარმოში დააპატიმრეს ოსტატი და დაითხოვეს 100 მუშა იმისათვის, რომ მათ „დაავიწყდათ" დენთის ჩაყრა მილიონნახევარი ვაზნის მასრაში. ეს „შეცდომა" მხოლოდ იმის შემდეგ გამოირკვა, როდესაც ვაზნები გერმანიაში ჩაიტანეს.

საბერძნეთში საბოტაჟის აქტების განგრძობის გამო პირეის მოსახლეობას, საოკუპაცია ხელისუფალთა ბრძანებით, აკრძალეს ქუჩაში გამოსვლა საღამოს 9 საათსა და 30 წუთის შემდეგ.

პოლანდიაში გერმანელებმა საბოტაჟის აქტებისათვის 50 ათასი გულდენით დააჯარიმეს ქალაქ ენშედის მოსახლეობა.

სლოვაკიაში დღითი-დღე ძლიერდება გამოსვლები საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგ. ამან ფაშისტები აიძულა სასტიკი ზომები მიეღოთ ანტინაცისტური საბოტაჟის წინააღმდეგ სოფლად. კერძოდ, აკრძალულია მინდვრებში ყოფნა 20 და 7 საათებს შორის. სლოვაკიაში ჩასვლა და სლოვაკიიდან წასვლა შეზღუდულია.

საფრანგეთში 12 სექტემბერს ლა როშელში მოხდა კაფეებსა და რესტორანებზე თავდასხმა, რომლის დროს პოლიციამ დააპატიმრა 1.000 კაცი. ლიმოჟში დააპატიმრეს 15 კაცი, რომელთაც ბრალდებათ უკანონო კრებების მოწყობა. ერთერთ დაპატიმრებულთაგანს იარაღის საწყობი აღმოაჩნდა. მონდიდიესა და ანჟერში რამდენიმე კაცი დააპატიმრეს „ინტერნაციონალის" სიმღერისათვის.

იტალიაში საგრძნობლად გაძლიერდა სასურსათო კრიზისი, რაც გამოწვეულია ომით და გერმანიაში პროდუქტების გაზიდვით. ჯარშიც კი პურის მწვავე ნაკლებობაა. ამასწინათ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა იტალიელმა გენერალმა ნადიმ, რომელმაც მოუწოდა მათ „კიდევ უფრო მაგრად შემოიჭირონ სარტყელი".

14 სექტემბერი (საკდესი).

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

მზრუნველობა წითელი არმიის მებრძოლებზე

დუშეთი („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის მშრომელნი, სამშობლოსადმი სიყვარულის ღრმა გრძნობით გამსჭვალულნი, უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ინიციატივას, რომ ჩვენს მშობლიური წითელი არმიის მებრძოლებს დავუმზადოთ საზამთრო ტანსაცმელი.

რაიონის მშრომელებმა წითელი არმიის მებრძოლებისათვის მარტო ორი დღის განმავლობაში შეაგროვეს 1.189 წყვილი ხელთათმანი, 2.156 წყვილი წინდა, 315 კილოგრამი მატყლი, 57 ცხვირსახოცი, ტყავის პალტო, ნაბადი, ცხვრის ტყავები და კიდევ მრავალი სხვა თბილი ტანსაცმელი.

სოფ. მლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. თოხაძე) კოლმეურნეებმა წითელი არმიის მეომრებისათვის გაიღეს 200 კილოგრამი პირველი ხარისხის მატყლი, 270 წყვილი წინდები, 180 წყვილი ხელთათმანი და 9 წყვილი თბილი საცვალი.

სოფ. მუგუდის კოლმეურნეებმა ერთი დღის განმავლობაში შეაგროვეს 30 წყვილი წინდა, 10 წყვილი ხელთათმანი, 12 კილოგრამი მატყლი, 7 ცალი ცხვრის ტყავი, ერთი წყვილი თბილი საცვალი. წითელი არმიის მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმელის შეგროვებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე სოფ. ანანურის, ნულურის, ლაფანაანთკარის და სხვა მრავალი სოფლის კოლმეურნეებში.

სოფ. მლეთაში მცხოვრები დიასახლისი ნინო ბუჩუკური ჩვენი საყვარელი სამშობლოს დამცველებს უმზადებს 2 წყვილ წინდას, 2 წყვილ ხელთათმანს და 2 წყვილ თბილ საცვალს. კოლმეურნე შ. შარმაიძემ წითელი არმიის მეომრებისათვის გაიღო 5 კილოგრამი მატყლი, 3-3 წყვილი წინდა და ხელთათმანი, 100 მანეთი და 2 ცალი ცხვრის ტყავი.

წითელი არმიის მებრძოლებისათვის საზამთრო ტანსაცმელის მომზადება რაიონში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს.

თბილი ტანსაცმლის შეგროვება წარმატებით დაიწყო

ლუქსემბურგი („კომუნისტის" კორ.). ლუქსემბურგის რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება.

სოფ. ფახრალოს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მიტინგზე, რომელიც ამ საკითხისადმი იყო მიძღვნილი, შეგროვილ იქნა 18 წყვილი მატყლის წინდა, 21 ცხვრის ტყავი, 12 კილოგრამი მატყლი და სხვა თბილი ტანსაცმელი.

სოფ. ხაჩინის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ერთ დღეს შეაგროვეს და ჩააბარეს 60 ცხვრის ტყავი, 14 კილოგრამი მატყლი და სხვ. ამავე სოფლის კოლმეურნეებმა შეაგროვეს 55 წყვილი წინდა, 17 ჯემპრი და სხვ.

ლუქსემბურგის კიროვის სახელობის გერმანელთა კოლმეურნეობის წევრებმა ჩააბარეს 15 ათასი მანეთის თბილი ტანსაცმელი, ლუქსემბურგის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზ. ანდრიასიანმა ჩააბარა 2 წყვილი წინდა, 2 ხელთათმანი, 1 თბილი პერანგი და 100 მანეთის სხვა თბილი ნივთები. თბილი ტანსაცმელი ჩააბარეს ამავე სკოლის მოსწავლეებმა კიმერლემ, ეიკერმა, ფიხტლერმა და სხვ.

კავშირგაბმულობის რაიკანტორის უფროსმა ამხ. ენუქიძემ შეიტანა 3 წყვილი მატყლის წინდა, 1 წყვილი ხელთათმანი და 1 თბილი პერანგი, კანტორის თანამშრომელმა ამხ. მეტრეველმა 2 წყვილი წინდა და 1 წყვილი ხელთათმანი.

წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება რაიონში დიდი წარმატებით დაიწყო.

ალ. სერგია

ხატიჯე კაკაბაძის ახალი რეკორდი

ქობულეთი (ტელეგრაფით). სოფელ ულიახოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ხატიჯე კაკაბაძემ 14 სექტემბერს მოკრიფა 1475 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და გამოიმუშავა 138 შრომადღე, ფულად კი —1538 მანეთი. აღნიშნული თანხისას იგი თბილ ტანსაცმელს ამზადებს წითელი არმიის მებრძოლებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი **ი. დვალი**

ონის რაიონის მშრომელთა გამოხმაურება

ონის რაიონის მშრომელებში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ინიციატივამ მშობლიური წითელი არმიის საჭიროებისათვის თბილი ტანისამოსის შეგროვების შესახებ.

სახელდახელო მიტინგზე, რომელიც ონის რაიონის სოფელ სევის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში შესდგა, ონის რაიონის მშრომელებისადმი ერთხმად მიღებულ მიმართვაში კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები მოუწოდებენ აქტიურად გამოეხმაურონ ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

სოფელ სევის კოლმეურნეებმა იკისრეს წითელ არმიას დაუმზადონ 30 ქურთუკი, 50 წყვილი საცვალი, 100 წყვილი მატყლის წინდა, 100 წყვილი ხელთათმანი, 40 ცალი წვრილი ტყავი და სხვ.

ონის რაიონის კოლმეურნეობებში სოფელ სევის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა მაგალითზე დაიწყო წითელი არმიისათვის თბილი ტანისამოსის შეგროვება.

მ. სურგულაძე

ვამრავლოთ ორასოვანთა რიგები

დღითიდღე იზრდება ორასოვანთა რიგები

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კოლექტივი ამაყობს თავისი ორასოვნებით. ორასოვანთა რიგები ქარხანაში დღითიდღე იზრდება, აქაური ორასოვნები დღითიდღე ზრდიან საწარმოო გეგმების შესრულების პროცენტს.

სახელოვანმა მრანდავმა ნიკ. პაელოვმა, ჩამომსხმელი საამქროს საუკეთესო მეყალიბემ ს. მისკალიშვილმა და სხვა ორასოვნებმა ივნისშივე ორმაგი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები. ივლისში კი ამხ. პაელოვმა გეგმა 320 პროც. შეასრულა, ამხ. მისკალიშვილმა—212 პროცენტით და ა. შ.

შესანიშნავად მუშაობს ჩამომსხმელი საამქროს ლითონის მხმელთა ბრიგადა, რომელიც მთლიანად ორასოვნებისაგან შესდგება. ბრიგადირი ამხ. გ. ავაქოვი, ბრიგადის წევრები—ო. ღარიბიანი, ლ. ხმიადაშვილი, ან. ხაჩატუროვი, პედჩენკო და მელქონიანი მუშაობის მაღალ ტემპებს დაეუფლნენ, სადღეღამისო გრაფიკს წარმატებით ასრულებენ და მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევიან. მთლიანად ბრიგადამ ივლისის გეგმა 278 პროცენტით შეასრულა. აგვისტოში ბრიგადა კიდევ უფრო წარმატებით მუშაობდა, ხოლო სექტემბერში გეგმას ოთხმაგი გადაჭარბებით ასრულებს.

მექანიკური საამქროს ზეინკალთა ბრიგადა (ბრიგადირი ამხ. ო. ბაბაიანი) უკვე ჩადგა ორასოვანთა რიგებში. ივლისში ბრიგადამ გეგმა 210 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტო-სექტემბერში გეგმებს კიდევ უფრო დიდი წარმატებით ასრულებს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ქარხანაში დამუშავეს თბილისის სტალინის სახელობის ქარხნის ორასოვანთა მიმართვა და სტალინელების მოწოდების საპასუხოდ იკისრეს უახლოეს დროში მიაღწიონ იმას, რათა ჰყავდეთ არა მარტო ორასოვანთა ბრიგადები, არამედ ორასოვანთა საამქროებიც.

დ. ამირანიძე

სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე ქალები

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატს ბევრი ისეთი ქალი ჰყავს, რომლებიც დაეუფლნენ უაღრესად რთულ საქსოვ დაზგებს და ახლა რამდენიმე დაზგაზე მუშაობენ. მრავალდაზგოსანთა და პროფესიის შემთავსებელთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა სამამულო ომის დღეებში.

სტახანოველმა მრთველმა ამხ. ოლია ცალქალამანიძემ ახალი პროფესია აითვისა. იგი უკანასკნელად 8 დაზგას უწევს მომსახურებას.

სტახანოველი ამხ. ანა პეტროვა ერთის მაგიერ ორ დაზგაზე მუშაობს. კომბინატში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კომკავშირელმა ამხ. ანა კლიმოვამ. იგი 50-ის ნაცვლად 100 დოლზე მუშაობს და დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს.

ასევე ითქმის სტახანოველ ქალებზე ამხ. პ. ჩირკოვასა და ტ. მოროზოვაზე. ეს უკანასკნელი 5-ის მაგიერ 8 დაზგაზე მუშაობს.

მეცნიერ მუშაკ ქალთა საქალაქო კრება

შაბათს, 13 სექტემბერს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგა საქართველოს უმაღლეს სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერ მუშაკი ქალებისა და მეცნიერ მუშაკთა ცოლების საქალაქო კრება, რომელიც მოწვეული იყო უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით.

კრებას 300-ზე მეტი გამოჩენილი მეცნიერ მუშაკი ქალი დაესწრო.

კრება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა წინადადებას საპატიო პრეზიდიუმში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობის არჩევის შესახებ ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მეთაურობით.

ქალთა საქალაქო კრება გახსნა დოცენტმა, ორდენოსანმა სოფიო ჭრელაშვილმა, რომლის წინადადებით კრებამ განიხილა 7 სექტემბერს მოსკოვში შემდგარი ქალთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვა მსოფლიოს ყველა მშრომელი ქალისადმი.

მოხსენებით—„ქალების როლი საბჭოთა ხალხის დიად სამამულო ომში"—გამოვიდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ქეზელი.

საქართველოს მშრომელი ქალების, კერძოდ, მეცნიერ მუშაკ ქალების ამოცანების შესახებ პირსისხლიან ფაშიზმთან წარმოებულ დიად სამამულო ომში და ამასთან დაკავშირებით ქალთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვის შესახებ კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს: პროფ. ნინო ციციშვილმა, ლექტორმა ქრისტინე ბოკუჩავამ, დოც. ქსენია ცხაკაიამ, ირინე ამატუნმა (კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტიდან), თამარ ბახტაძემ (მეცნიერ მუშაკთა ცოლებისაგან), ია მიქაძემ, დოც. ქეთ. ლომთათიძემ, ნინო კალანდაძემ, ლექტორმა ვერო მუჯირმა (ზოოვეტინსტიტუტიდან), ნინო ბერგმა, ქეთევან კალანდაძემ და ელენე მგალობლიშვილმა.

— ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებისთვის, — ამბობდნენ კრებაზე გამოსული ორატორი ქალები,—ასეთია ჩვენი ლოზუნგი. ჩვენ უკვე აქტიურად ვმუშაობთ იმისთვის, რომ დახმარება გავუწიოთ მშობლიურ წითელ არმიას მტრის განადგურებაში. ვმუშაობთ დაუღალავად, ვამზადებთ საჩუქრებს წითელი არმიისათვის. ქალთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვის საპასუხოდ ვქსოვთ და ვკერავთ თბილ ტანსაცმელს ჩვენი გმირი მებრძოლებისათვის...

კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში მეცნიერ მუშაკი ქალები მოუწოდებენ საქართველოს მეცნიერ მუშაკთა ცოლებს აქტიურად ჩაებან წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვების საქმეში.

ლექციები

16 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომთან არსებულ აგიტპუნქტში შესდგება ამხ. **მშვენიერაძის** ლექცია თემაზე: **„ლენინი და სტალინი საბჭოთა მიწა-წყლის დაცვის შესახებ"**.

16 სექტემბერს საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. მოლოტოვის სახ. რაიკომის აგიტპუნქტის შენობაში (ხეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ამხ. **ჟორჟიკაშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი"**. შესვლა თავისუფალია.

16 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 128) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ"**.

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში და კლუბში.

საჯარო ბიბლიოთეკაში

17 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სამხედრო კაბინეტში (ცეცხოველის ქ. № 5) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „ბრძოლა ტანკებთან".

შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

საოპერა — 16 სექტემბერს — „აიდა", 17 სექტემბერს — „დაისი". **რუსთაველის სახელობის** — 16 და 17 სექტემბერს—„კიკვიძე", 18 სექტემბერს — „ღალატი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 16 სექტემბერს —„ბერლინის გასაღები", 17 სექტემბერს —„მკაცრი ქალიშვილები".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. დამკვრელი — „ანტონ ივანეს-ძე სწყრება", **ოქტომბერი** — „პარიზის აისი", **კომკავშირელი** (ზამთრის)—„ჩემი სიყვარული", **კომკავშირელი** (საზაფხულო)—„ჩემი სიყვარული", **სპარტაკი**—„ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **ლუქსემბურგის სახ.**—„კაცი რესტორნიდან", **26 კომ. სახ.** (საზაფხულო)—„საბრძოლო კინოკრებული № 3", **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„მეკარე", **კომინტერნი** — „საბრძოლო კინოკრებული № 1", **განთიადი**—„საბრძოლო კინოკრებული № 3", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„მაქსიმეს დაბრუნება", **ორჯონიკიძის სახელობის კლუბი**—„ორიოლის" დაღუპვა", **მეცნიერება და ცოდნა** — „იუდენიჩის განადგურება", **საზკვების კავშირის კლუბი**—„ოპენჰაიმის ოჯახი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი**—„ჰამბის ჯარისკაცები", **წითელი არმიის სახლის პარკი**—„თოფიანი კაცი".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის

ქართველი ერის ისტორია

წიგნი მესამე. XIII და XIV საუკუნეები

წიგნი შეიცავს 16 ½ ფორმას და ღირს 14 მანეთი. რაიონის დამკვეთლებმა უნდა გადმოგზავნონ გადასაგზავნი ხარჯების ჩათვლით თითო წიგნზე 15 მან. და 50 კაპ. შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპ. 23, „საქართველოს აკადემიურ წიგნს".

დამკვეთლებს წიგნი გადაეგზავნებათ ფულის მიღების დღესვე

367

რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექცია

ამით აცხადებს თავისი აბონენტების საყურადღებოდ, რომ აბონენტების უკეთ მომსახურების მიზნით

ა. წ. 16 სექტემბრიდან საბონემენტო გადასახადის მიღება იწარმოებს კავშირგაბმულობის შემდეგ განყოფილებებში 8 ½ საათიდან 20 საათამდე.

1) მთავარი ფოსტამტი—პლეხანოვის პროსპ. № 44, 2) საფოსტო განყოფილება № 1—საბჭოს ქ. № 147, 3) საფოსტო განყოფილება № 3—ზუბალაშვილის ქ. № 7, 4) საფოსტო განყოფილება № 4—რუსთაველის პროსპ. 6, 5) საფოსტო განყოფილება № 5—სარეწაო კოოპერაციის ქ. № 55, 6) საფოსტო განყოფილება № 7—რუსის ქ. № 3, 7) საფოსტო განყოფილება № 6, 8) საფოსტო განყოფილება № 9—მელიქიშვილის ქ. № 34, 9) საფოსტო განყოფილება № 8—ლენინის ქ. № 11—პლეხანოვის პროსპ. № 119, 10) საფოსტო განყოფილება № 12—ჩელუსკინელების ქ. 31, 11) საფოსტო განყოფილება № 13—5 დეკემბრის ქ. № 6, 12) საფოსტო განყოფილება № 15—საბურთალო, 13) საფოსტო განყოფილება № 20—სადგური ნავთლუღი, 14) საფოსტო განყოფილება ტბილისი, ავტოსარემონტო ქარხანა, 15) საფოსტო განყოფილება № 24—ფიროსმანის ქ. № 12.

ვთხოვთ აბონენტებს საბონემენტო გადასახადის შეტანის დროს თან იქონიონ უკანასკნელი ქვითარი.

373

დირექცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1941 წლის **23 სექტემბერს, დღის 3 საათზე,** სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

1. ექიმი სტომატოლოგი **ანა სპირიდონის-ასული მენაბდე** — თემაზე: **„ზოგიერთი მახალები პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ახალგაზრდა ჰისტოლოგიური ცვლილებების შესწავლისათვის"**.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ს. საყვარელიძე** და დოც. **არჩ. ჯორბენაძე.**

2. ექიმი **ვარლამ ალექსანდრეს-ძე შერვაშიძე**—თემაზე: „Новая операционная методика спленэктомии".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ეფ. ზაქარაია** და პროფ. **ნ. დემეტრაძე.**

25 სექტემბერს, დღის 3 საათზე, იმავე აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

1. ექიმი **შალვა ნიკოლოზის-ძე ელიავაშვილი**—თემაზე: „К клинике внематочной беременности".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **პლ. შუშანია** და პროფ. **ელიავაშვილი**

2. ექიმი **დინა მიხეილის-ასული შტეინგარტი**—თემაზე: „Микроклимат нухинских шелкомотальных фабрик".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნ. დამსახ. მოღვ. პროფ. **ა. ხმალაძე** და პროფ. **ნათაძე.**

29 სექტემბერს, დღის 3 საათზე, იმავე აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ვოროშილოვის მედინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრის გამგე **იაკობ ისაკის-ძე ბლიაძერი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Материалы по изучению сульфидрильных соединений (глютатион) в экспериментах на животных и в клинике".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: მეცნ. დამსახ. მოღვაწე პროფ. **ვ. ვორონინი,** პროფ. **გ. ვაჩაძე,** პროფ. **ანდღულაძე** და პროფ. **ასათიანი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12)

დირექცია.

ბერიას რაიონის საბინაო სამმართველოს ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან **ზაქარია ნიჟარაძის** გარდაცვალებას. 12435

მკერავთა გაერთიანების გამგეობა იუწყება **ლიანა იოსების ასულ ხარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/IX 6 ს. არსენას, 23, ვაკის სასაფლაოზე.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო, — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 18021